საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 27-28 დეკემბერი. 2021 წ. №218 (9337) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

შერიგება და ეროვნული თანხმობა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს!

③

ვახტანგ ძაბირაძე:

პარლამენტის თავმჯდომარის შეცვლა 2024 წლის არჩევნებთან არის დაკავშირებული

④

ზურაბიშვილი გამოცდილი დიპლომატია და მისთვის მთავარია, შედგეს საუბარი, თუნდაც უშედეგო!

②

ომარ მარგველაშვილი:

ბატონო ბიძინა, უსმინეთ ხალხს და არა პარტიებს!..

ისტორიის გაყალბების სხვადასხვა ხერხი არსებობს და ერთ-ერთი წარსულის გარკვეულ მოვლენებზე სიმართლის სანახევროდ, მთავარი აქცენტების სხვა მომენტებზე გადატანაში მდგომარეობს. სწორედ ასე მოიქცნენ საჯარო სკოლის მეცხრეკლასელთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს „საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის ავტორები, როცა მიხეილ სააკაშვილის საძულველი რეჟიმის დამხობის სულისჩამდგმელის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობას აშუქებდნენ.

ახლადგამოცემულ ისტორიის წიგნში ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიერ საქართველოში გაწეული უმნიშვნელოვანესი ღვაწლის შესახებ სულ რაღაც ორი-სამი ულიმღამო ზწკარით არის გადმოცემული, რაც წიგნის ავტორთა უდიდეს შეცდომად მიმაჩნია. სამ მილიარდ დოლარზე მეტი საკუთარი ფული მან საქართველოს კეთილდღეობას მოახმარა და ამ წვლილის ღირსეულად აღნიშვნას უდავოდ რომ იმსახურებს, ეჭვგარეშეა. არაჩვეულებრივი სამების გრანდიოზული ტაძრის აგებას, უამრავი ეკლესია-მონასტრის რესტავრაციას, სკოლის მშენებლობა-რეკონსტრუქციას, თეატრების აღდგენა-რემონტს, ქუთაისის ახალი შესანიშნავი ტექნოლოგიური საერთაშორისო უნივერსიტეტის აშენებას, შეკვეთილში მსოფლიო დონის ულამაზესი პარკის გაშენებას, გურიაში არაჩვეულებრივი დასასვენებელი კომპლექსის „პარაგრაფისა" და თანამედროვე საკონცერტო დარბაზის აგებას, ვაკის პარკისა და იპოდრომის ტერიტორიების გაკეთილშობილებას, უნიკალური კურორტების წყალტუბოსა და აბასთუმნის კომპლექსების მშენებლობებისა და მრავალი სხვა სიკეთის ჩამოთვლა შეუძლებელია.

იხ. 5 გვ.

იშიმშილონ და... იყონ!

მართლაც მავნებელი და საკუთარი ხალხის გამოუსწორებელი მტერი უნდა იყო, ისევ სიტუაციის არევაზე და მორალური ფონის დამძიმებაზე იფიქრო!

როგორც ჩანს, „ნაციონალების" და მათ მიერ „დავერბოვკებული" სექტის გამოსწორება არ იქნება!

⑧



დილარ ივარდავა

კოლხეთის მზეს გულით ვზომავ!

⑨

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

⑥

პროტონული თერაპია საქართველოში: აწმყო და პერსპექტივები

თქვენი სახით გვყავს ქრისტიანული და კავკასიური ზნეობის ბურჯი...

„სრულიად საქართველოს ვულოცავ თქვენი აღსაყდრების დღეს! თქვენი ღვაწლი ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე განუზომელია. თქვენ შეძელით ძნელბედობის ჟამს შეგენარჩუნებინათ ჩვენი ქვეყნის, საზოგადოებისა და საქართველოს ეკლესიის ერთიანობა და ამ უმძიმეს პასუხისმგებლობას დღემდე უდიდესი ერთგულებით ატარებთ.

დღეს კვლავ დადგა მძიმე დრო, როცა ჩვენი ერი და ბერი საქართველოს ეკლესიის მეთაურისაგან მოელის ხალხისათვის ქრისტიანული და ქართული ზნეობრივი ნორმების ჩვეული მამობრივი მზრუნველობით შეხსენებას. სწორედ ჩვენი ზნეობრივი ნორმების დაცვამ უნდა გახადოს შესაძლებელი არსებულ პოლარიზებულ გარემოში საქართველოში ერთმანეთის პატივისცემასა და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ფორმირება, რომლის გარეშე შეუძლებელია საერთო თანხმობის მიღწევა ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე.

საქართველოს თქვენი სახით ჰყავს ქრისტიანული და კავკასიური ზნეობის ბურჯი და სწორედ თქვენი ღვაწლი მაძლევს უდიდეს იმედს, რომ ჩვენი საზოგადოება დარჩება ერთგული ქართული, კავკასიური და ქრისტიანული ზნეობის და ჩვენი ღირსეული წინაპრების ღირსეული შვილები ვიქნებით.

ჩვენი მრავალფეროვანი საზოგადოების სახელით გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და მხნეობას ერისა და ქვეყნის მშვიდობისა და ერთიანობისთვის ლოცვაში“.

სალომე ზურაბიშვილი,
საქართველოს პრეზიდენტი.

მომავლის იმედის, რწმენის, ერთობისა და ქვეყნის სტაბილურობის გარანტი...

„დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ აღსაყდრებიდან 44-ე წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს. ამ მნიშვნელოვან დღეს ასევე ვულოცავ საქართველოს ყველა მოქალაქეს.

ჩვენს ქვეყანას წილად ხვდა ბედნიერება, ბოლო თითქმის ნახევარი საუკუნე — თავისუფლებისა და სულიერი აღორძინებისკენ სვლის ურთულესი ისტორიული მონაკვეთი მისი სულიერი წინამძღოლობით გაევლო. პატრიარქის დაუღალავი მოღვაწეობა ყოველთვის გვეხმარებოდა შეგვენარჩუნებინა ერთობა, სტაბილურობა, მომავლის იმედი და რწმენა.

პატრიარქის პირადი ღვაწლისა და უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტის შედეგია ისტორიული მნიშვნელობის მიღწევა - საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობა საერთაშორისო დონეზე, ჩვენი ეკლესიის გაძლიერება, სულიერების აღორძინება, ეკლესია-მონასტრების მშენებლობათა უპრეცედენტო ზრდა, საეკლესიო განათლებისა და მეცნიერების განვითარება.

ვუსურვებ ჩვენს სულიერ მამას ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ“.

ირაკლი ღარიბაშვილი,
საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

მადლობა ნდობისთვის

მადლობა მინდა გადავუხადო პარტიის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს, პარტიის პოლიტიკურ საბჭოს და „ქართული ოცნების“ გუნდს გამოცხადებული ნდობისთვის და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პოზიციაზე წარდგენისთვის. ეს უდიდესი პასუხისმგებლობა და პატივია, — ამის შესახებ შალვა პაპუაშვილი სოციალურ ქსელში წერს. პაპუაშვილი აღნიშნავს, რომ წინ არის საკანონმდებლო რეფორმებით დატვირთული დღის წესრიგი, რომელმაც გარდატეხა უნდა შეიტანოს ევროკავშირთან ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დაახლოებაში.

„მადლობა კუჭავას, რომელმაც რთულ პოლიტიკურ ვითარებაში შეძლო საპარლამენტო საქმიანობის კონსოლიდირება და პარლამენტის საპარლამენტო ცხოვრების კალაპოტში მოქცევა. განსაკუთრებით კი, მინდა, მას მადლობა გადავუხადო იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც მისგან როგორც პარლამენტის წევრი და მეგობარი ვგრძნობდი“.

შერიგება „ნულოვან ტოლერანტობასთან“?

ზურაბიშვილი გამოცდილი დიპლომატია და მისთვის მთავარია, შედგეს საუბარი, თუნდაც უშედეგო!

რასან ლაპარაკობენ, ე.ი. ერთმანეთს არ ხოცავენ!

ერთ დროს „ნაციონალების“ საყვარელი თემა იყო „ნულოვანი ტოლერანტობა“, დღეს მათი ფავორიტი საკითხი გახდა შერიგებაზე საუბარი, ოღონდ მათხრახისა და თაფლაკვერის პოლიტიკის არ იყოს, თუკი „ქართული ოცნება“ შერიგებას არ ისურვებს, „ნაცები“ ისევ აამოქმედებენ თავიანთ არსენალში შემონახულ ძალმომრეობით პოლიტიკას.

მათრახის ენაზე ლაპარაკობს სააკაშვილიც და საკუთარ მომხრეებს თავდადებისა და წინააღმდეგობისკენ მოუწოდებს: „ჩვენ არ უნდა დაველოდოთ ოლიგარქის მხრიდან მოწყალებას, ისინი უნდა ითხოვდნენ შენდობას და ამნისტიას ქართველი ხალხისგან“.

„ნაციონალების“ სურვილია, 2000 წლიდან მოყოლებული სამ „ეპოქაზე“ გავრცელდეს შერიგება, რაც ცხადია, მათ ენაზე, სააკაშვილის შეწყალებად უნდა გადაითარგმნოს. **ნუგზარ წიკლაური** არც მალავს, თუ ვინმეს წარმოუდგენია, რომ თან ეროვნული შეთანხმების მდინარე მოედინებოდეს და თან პოლიტიკური ოპონენტები ციხეში დარჩნენ, ეს ასე ვერ მოხდება. **ნიკა მელიაც** ამავე აზრისაა: „სანამ სააკაშვილი ტყვეობაშია, საუბარი სამოქალაქო ერთობასა და შერიგებაზე აზრდაკარგული იქნება“.

არიან ისეთი ყოფილი „ნაცებიც“, რომელთაც კატეგორიულად არ მოსწონთ სულელური სიტყვა „შერიგება“. ოპოზიციონერ დეპუტატ **გრიგოლ ვაშაძეს** ეს სიტყვა ქვიშის ორმოში მოთამაშე ბავშვების შერიგებას ახსენებს, რომლებმაც სათამაშოები ვერ გაიყვეს და ახლა დედებმა უნდა შეარიგონ.

„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი **ჰერმან საბო** ფიქრობს, რომ შერიგებას ხელს უშლის შიში და ზიზღი. შიში — სააკაშვილის დაბრუნების და ზიზღი სააკაშვილის მიმართ. ამიტომ შიში მოიხსნება პოლიტიკიდან **მიხეილ სააკაშვილის** ისევ ისე წასვლით, როგორც ეს **ბიძინა ივანიშვილმა** გააკეთა.

ექსპერტები თანხმდებიან, რომ შერიგების კეთილშობილური იდეა ერთგვარი ხაფანგია „ნაცების“ ხელში და, თუ ხელისუფლება შერიგებას დათანხმდება, მაშინ ამით „ნაცმოძრაობას“ გააძლიერებს.

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი **ნანა კაკაბაძე** მიიჩნევს, სააკაშვილისა და მისი გუნდისთვის შერიგება რა არის? ეს არის მიშას გათავისუფლება და კრიმინალების ხელშეუხებლობა, ანუ „ნაცმოძრაობის“ ხელშეუხებლობა.

„მაგათ ვის რა უნდა შეუნდონ? ესენი იყვნენ დამაქცევლები და ვის უნდა შეუნდონ, ვისაც აწამებდნენ, იმათ? ვისაც ტყავს აძრობდნენ, ბიზნესს და ქონებას ართმევდნენ, იმათ უნდა შეუნდონ? პირიქით მაინც თქვან, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ უნდა აპატიოს ხალხმა, რადგან სწორედ ხალხი დაზარალდა მათ დროს. თუნდაც დღევანდელ ხელისუფლებაში მყოფი ფიგურებისთვის „ნაციონალებს“ ნაკლებად აქვთ რაღაც წართმეული, „ნაცებმა“ საქართველოს წაართვეს ტერიტორიები, მოსახლეობას კი წაართვეს ქონება და ბიზნესი. გარდა ამისა, მათ წაართვეს ჩვენი მოსახლეობის სერიოზულ ნაწილს სიცოცხლე, ღირსება და პატივი შეულახეს. თუმცა რატომ უნდა აპატიონ დაზარალებულებმა „ნაციონალებს“? ვინმეს თვითონ რამეს პატიობენ? რატომ უნდა აპატიონ „ნაციონალებს“ ქუჩაში ჩახოცილების ოჯახებმა? დარეკეტებულმა და განკულაკებულმა მოსახლეობამ? ქვეყნიდან გაქცეულმა ხალხმა?“ — აცხადებს ნანა კაკაბაძე და დასძენს, რომ საქართველო არ შერიგდება და არ გამთლიანდება ბოლშევიზმთან, ფაშიზმთან, ნაციზმთან.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** აცხადებს, რომ პრეზიდენტი ზურაბიშვილი როცა ლაპარაკობს დეპოლარიზაციის პროცესზე, ეს ნიშნავს, რომ მხარეებს შორის შეთანხმება უნდა შედგეს კონსტიტუციურობისა და სამართლიანობის გარშემო. „ნაცებს“ კი, ამის საპირისპირო რამ სურთ, რომ ამ მოლაპარაკებით ხელისუფლება „ნაცებს“ უნდა დანებდეს და მიშა გამოუშვან ციხიდან, რაც წარმოუდგენელია.

„არ დაგვავიწყდეს, რომ სალომე ზურაბიშვილი გამოცდილი დიპლომატია. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, შედგეს საუბარი, მხარეები დასხდნენ და ილაპარაკონ, გინდაც უშედეგო იყოს ეს მოლაპარაკება. ამაში გარკვეული პოზიტივია, რახან ლაპარაკობენ, ე.ი. ერთმანეთს არ ხოცავენ. დიალოგის ალტერნატივა ომია. „ქართული ოცნების“ პოზიცია უალტერნატივოა, ლაპარაკი ვისაც უნდა, პრეზიდენტის ფორმატი კარგია, კი ბატონო, ეს დაეხმარება მოლაპარაკების პროცესს, მაგრამ სალაპარაკო მთავარი არენა პარლამენტია, სალაყბო რასაც ჰქვია. ამიტომ პრეზიდენტთანაც ილაპარაკონ და პარლამენტშიც“, — აღნიშნავს დავით ზარდიაშვილი და შეკითხვის საპასუხოდ, **ზურაბიშვილის ეს წინადადება ხომ არ არის გათვლილი იმაზე, რომ „ნაცმოძრაობა“ შიგნით გაიხლიჩოს — რადიკალებსა და შემრიგებლებს, ანუ ქორებსა და მტრედებს შორის?** — განმარტავს, რა თქმა უნდა, აქ გამოყენებულია დიპლომატიური ხერხი, რომ დისკურსი შეიცვალოს და იმის მაგივრად მხარეებმა ლანძღონ ერთმანეთი, „ნაცებს“ შენი ჭირიმეთი უტირონ დედა.

ანალიტიკოსის შეფასებით, თუ „ნაცები“ ლაპარაკზე მოდიან, მაშასადამე, ქუჩაში აღარ დგანან და „თავისუფლება მიშას“ აღარ ყვირიან. მთავარია, ისინი სალაპარაკო სივრცეში შემოვიდნენ, სულ არ არის ამისთვის საჭირო შარლ მიშელის ჩამოყვანა და უცხოელების ჩართვა. ბუნებრივია, ეს კონსტრუქციული გზაა, თორემ ქუჩის გზა, მიშას გამოშვების გზა, სააკაშვილს „აწამებენ“ და ეს სიგიჟეები აბსოლუტურად უპერსპექტივოა. ამისგან არაფერი გამოუვათ. ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტ ზურაბიშვილის მცდელობის შედეგად გარედან დამკვირვებლისთვის რაღაც სურათი შეიქმნება, რომ ქართველებს ერთმანეთში ლაპარაკი შეუძლიათ!..

მანანა ნოზაძე



შერიგება და ეროვნული თანხმობა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს!

პირდაპირ ვიტყვი, რომ საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის მიერ გახმიანებული „ეროვნული თანხმობის“ იდეა, მიუხედავად იმისა, რომ ყურს ერთი შეხედვით ძალიან ჟრუანტელის მომგვრელად ხვდება, ჩანასახშივე განუხორციელებელი მგონია!

არ დავიწყებ დიდ ფილოსოფიურ განხილვას, თუ რას ნიშნავს სიტყვა „შერიგება“ და „ეროვნული თანხმობა“.

არ დავიწყებ, რადგანაც არც „შერიგება“ და არც „ეროვნული თანხმობა“ არ წარმოადგენს იურიდიულ აქტს და მას პირველ რიგში მორალური „ზნეობრივი კანონის“ დანიშნულება გააჩნია (არ მინდა აქ განმარტებები. იმას, რის ახსნასაც ზოგიერთი დამიწყებთ, „მორიგება“ ჰქვია).

ძალიან საინტერესოა, ვისთან ფიქრობს ნაციონალური მოძრაობა შერიგებას?

პოლიტიკურ ძალა „ქართულ ოცნებასთან“, რომელიც ძალიან მარტივად რომ ვთქვა, ნაცების მიერ დანაშაულის ჩადენის პერიოდში საერთოდ არ არსებობდა, თუ საქართველოს მოსახლეობასთან, ვინც ყველაზე მეტად დააზარალა?

ბუნებრივია, საქართველოს მოსახლეობასთან და აქაც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობას ნაციონალური მოძრაობისთვის არაფერი დაუშავებია, განსხვავებით იმ შემთხვევებისგან, როცა დამნაშავე ორივე მხარეა და შერიგება მათ დაპირისპირებას წყვეტს.

არსებულ მოცემულობაში დამნაშავემ (დიახ, სწორედაც დამნაშავემ, რაც დასტურდება, უკვე დამდგარი განაჩენებით, თუ საზოგადოებისთვის ცნობილი იმ ფაქტებით, რასაც სამწუხაროდ იურიდიული მიმართულება არ მიეცა) პირველ რიგში უნდა აღიაროს თავისი დანაშაული და დაზარალებულის წინაშე სულ მცირე ბოდიში მოიხადოს.

სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობა ამას არ აკეთებს და პირიქით – რაღაც პირობებსაც აყენებს, რაც მარტივად რომ ვთქვა – ამაზრზენია.

საქართველოს მოსახლეობა არ არის, ასე ვთქვათ, „სისხლის მოყვარული და მსურველი“ და თავის გასაკეთებელს აუცილებლად გააკეთებს.

გააკეთებს იმას, რაც უნდა გააკეთოს ბოდიშის მოხდის შემთხვევაში და გააკეთებს მაშინაც, თუ დამნაშავე გაჯორდება და თავს არ დახრის.

რაც შეეხება ამ „შერიგების, თუ ეროვნული თანხმობის აქტის“ გაფორმებას, ეს არ არის არც ეკლესიის, არც მმართველი პოლიტიკური ძალის და მითუმეტეს, არც რაღაც არასამთავრობო, თუ პარტნიორი ორგანიზაციების საქმე.

შერიგება და ეროვნული თანხმობა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს.

ხალხმა, რომელსაც ნამდვილად გააჩნია პირობების დაყენების უზენაესი ნება, ხოლო ის, თუ ტექნიკურად როგორ მოხდება, ეს უკვე მსჯელობის საგანია.

ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ვინ მუშაობს და სინამდვილეში ვინ უნდა იმუშაოს ამ საკითხზე.

ჯერჯერობით რასაც ვხედავთ საქმე ლუზერ პოლიტიკანებს მიეცათ.

გამოდიან სხვადასხვა ტელეარხებზე და იძახიან – შეხვედრები უნდა გაგრძელდეს, უნდა გავწეროთ საკითხები და სხვა ბლჯ-ბლჯ-ბლჯ.

რა უნდა გაწერონ და რაზე უნდა ილაპარაკონ შეხვედრებზე?

გარკვევით არის ნათქვამი ხალხისგან, პრეზიდენტისგან და ნორმალურად მოაზროვნე პოლიტიკური ძალებისგან – თუ ეს „მოდიალოგე ტიპები“ დანაშაულთან, ძალმომრეობასთან, საზოგადოების ტერორთან, ძონების წართმევასთან, საერთაშორისო რეზოლუციებში რუსეთის სასარგებლო ჩანაწერებთან, პატიმრების წამებასთან, ხალხის კუთვნილი ასეულობით მილიონის გაფლანგვასთან, წაგებული ომის ზეიმთან, დამატებითი ტერიტორიების დაკარგვასთან, საპროტესტო აქციებზე ხალხის უმოწყალოდ ცემასთან, ჟურნალ-გაზეთების რედაქციების გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოყრასთან და ტელევიზიების დარბევასთან შერიგებას გულისხმობენ და გვთხოვენ – ეს არასდროს მოხდება!

ამ ყველაფერს ბოროტება შეგვიძლია ვუწოდოთ, რომლის ავანგარდშიც სწორედ ნაციონალური მოძრაობის ლიდერები დგანან! სწორედ ამიტომ, როგორც უკვე ვთქვით, ამდენი ბოროტების და დანაშაულის ჩამდენ ადამიანებთან შერიგებას არ ვაპირებთ!

ამიტომ, თუ რეალური შედეგი უნდა ვინმეს, დაელაპარაკონ ნაცებს, გააუქმონ თავიანთი პარტია, ჩასხდნენ ციხეში ისინი ვისაც ეკუთვნის და ყველაფერი დამთავრდება, მაგრამ თუ პრეზიდენტის სასახლეში ბორჯომის დალევა და მერე ტელეკამერებთან კეკლუცობა გინდათ, არ გამოვა ეს, ბატონებო!

* * *

პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს დიადი იდეა, როგორც ჟურნალისტს, ნამდვილად არ მომწონს. უახლოეს ისტორიაში გვახსოვს დიდი ეროვნული თანხმობის სამი მცდელობა, რომელმაც არანაირი შედეგი არ მოიტანა.

დღეს კი რაზეც „მსჯელობა“ და უფრო ზუსტად, ტელეკამერებთან კეკლუცობა და პრეზიდენტის სასახლეში ფეისბუქზე, ან ინსტაგრამზე დასადები ფოტოების გადაღება მიმდინარეობს, ხალხს აღიზიანებს!

აღიზიანებს ის, რომ:

ვინც „მუშაობს“, ხალხში არანაირი წონა და პატივისცემა არ გააჩნიათ.

იდეა აბსოლუტურად უტოპიურია.

ხელისუფლებამ დაამყაროს სამართლიანობა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და არა ვიღაც ერთეული არამზადას სადღაც უცხოელების მიერ დაკავებით და თანხმობაც იქნება და იქნება შერიგებაც.

ანუ, აქ დააკავონ გვარამია, მიშას შეუმცირონ პრივილეგიები დ.ა.შ.

და საერთოდ უსაქმური კაცის და მახათის ურთიერთობა ხომ არ არის ეს ყველაფერი?!

ვინ ეკითხება ბესელიას, რაქვიაშვილს, ელისაშვილს და რაღაც კაცნახევრიან პარტიუკებს ეროვნულ თანხმობას?

ხალხი არაფერ შუაშია არა? და ამ ქარაქუცებმა დაბერილი ლოყებით, ჰალსტუხებით და ჭკვიანი სახეებით უნდა „იმუშაონ“?

არა ბატონებო, ამ არასამთავრობოულ სტილში გაკეთებული სისულელეებით არაფერი გამოვა. რატომ ვაკნინებთ ხალხს, საზოგადოებას და „ვაბლატავებთ“ ვიღაც უსაქმურებს?

რატომ ვაძლევთ ამ არაფრის მაქნის ხალხს ისეთი უზენაესი საკითხის გადაწვეტის უფლებას, რასაც ეროვნული თანხმობა ჰქვია?

* * *

გავრცელდა ინფორმაცია, რომ „პრეზიდენტი“ მარგველაშვილი „პრეზიდენტ“ სააკაშვილს უნდა შეხვდეს და „დიდ ეროვნულ შეთანხმებაზე“ უნდა ესაუბროს.

„კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო“, ზუსტად ასეა გიორგი მარგველაშვილის საქმე.

უბრალოდ, მაინტერესებს რა აიძულებს ერთი შეხედვით არც თუ ისე გაუნათლებელ და გარკვეულწილად ინტელექტუალურ ადამიანს აკეთოს ყოვლად აბსურდული და შეიძლება ითქვას სულელური განცხადებები.

ხელახლა გახდეს პოლიტიკური ფიგურა?

გამორიცხულია, იმ ბეგრაუნდის ფონზე რაც მას აქვს და დარწმუნებული ვარ, ეს თავადაც კარგად იცის...

ვინმეს უჯერებს და ასე ვთქვათ აყოლილია?

შეიძლება, მაგრამ იმ ვიღაცამ ხომ უნდა იცოდეს, რომ მარგველაშვილის სიტყვას საზოგადოებაში არანაირი წონა არ გააჩნია?

იყოს რაღაც „დვიჟენიაში“?

რა თქმა უნდა, გასაგებია და მისასალმებელიც, მაგრამ ვერ საზღვრავდეს იმის რეალობას, რასაც ამბობს, ცუდია.

მოკლედ რომ ვთქვა, ძალიან ცუდი თვალით გვიყურებენ ნაცები და აგრესიული ლიბერალები. რატომღაც თვლიან, რომ ქართველებს არ შეგვიძლია რეალობის შეფასება. არ შეგვიძლია დავინახოთ, ვინ ვინ არის.

რაც შეეხება სექტის იმ მდაბიო ნაწილს, რომლებიც მარგველაშვილის ნებისმიერ განცხადებას უყურებენ როგორც „გამონათებას“ – აი, თვით კიდევ ერთი ყოფილი პრეზიდენტიც ჩვენს მხარესაა, მინდა ვთქვა – დღეს საქართველოს ორი ყოფილი პრეზიდენტი ჰყავს ცოცხალი. ერთი ციხეშია, მეორეს კი არანაირი ავტორიტეტი აღარ გააჩნია.

საბედნიეროდ, სექტის ეს ნაწილი თანდათან სუსტდება. სუსტდება სწორედ ასეთი ინტელექტუალური მხარდამჭერების უნიათო და არარეალური თანადგომის გამო.

მოკლედ რომ ვთქვა, ნაცსექტა იმდენად დასუსტებულია, რომ მსგავსი ფასადური მხარდაჭერის გარდა, აღარაფერი დარჩენიათ

კარგი, დავანებოთ თავი იმას, თუ როგორი პრეზიდენტები იყვნენ სააკაშვილი და მარგველაშვილი. დავანებოთ და უბრალოდ ვთქვათ:

1. უკვე დამტკიცებული ბრალის მქონე და სხვა დანაშაულებზე ძიებაში მყოფ კრიმინალს უნდა შეხვდეს „ხათრით არჩეული“ ტიპი და ეს შეხვედრა უნდა წარმოჩინდეს როგორც დემოკრატიისთვის გადადგმული ნაბიჯი?

2. რა თემაზე უნდა იბაასონ?

3. ვინ იქნება „საუბრის“ „ხაზეინი“, ანუ ვინ წაიყვანს „დიალოგს“?

4. რამდენად სასარგებლოა ეს შეხვედრა საქართველოსთვის?

5. რა შედეგს ელოდებიან „შეხვედრის მხარეები“?

6. სურს თუ არა საქართველოს მოსახლეობას ამ ორი უსაქმურის შეხვედრა იყოს მისი დღის წესრიგი თუნდაც 12, 15, 17, 18 და 21-საათიანი საინფორმაციო გამოშვებების მიერ დათმობილი დროის განმავლობაში, მაშინ როცა ქვეყანაში ბევრი კარგი რამ ხდება?

ვინც ვერ ხედავთ, დაელოდეთ მარგველას და მიHას შეხვედრას და იოცნებეთ!

სექტის უინტელექტო სახე ძალიან კარგად გამოჩნდა იმ ძალიან მდაბიო, უტვინო და ღრჯუ შეკითხვებით, რომლებიც დაუსვეს მინისტრის საათში იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძეს 2005 წელს სახელმწიფოს მხრიდან მისთვის დანიშნული სტიპენდიის შესახებ.

არ ვილაპარაკებ რატი ბრეგაძის განათლებაზე და იმაზე, ეკუთვნოდა თუ არა მას ეს სტიპენდია. არ ვილაპარაკებ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყველამ კარგად იცის მისი ძალიან მაღალი ცოდნის დონე და შესაძლებლობები.

უბრალოდ მინდა ვიკითხო: რა, 2005-ში ქრთამი მიეცით და ახლა სამაგიეროდ სააკაშვილის განთავისუფლებას ითხოვთ?

საინტერესოა, რა განათლების, პოლიტიკური გამოცდილების და ინტელექტის გამო არიან პარლამენტში თინა ბოკუჩავა, სალომე სამადაშვილი, გუბაზ სანიკიძე, ლევან ხაბეიშვილი და სხვები?

რა ინტელექტი და მართვის უნარ-ჩვევები ჰქონდათ ვერა ძობალიას, ნინო კალანდაძეს, ხათუნა კალმახელიძეს და სხვებს?

რატომ იღებდნენ თქვენი სიის პირველი ნომერი და ზოგიერთი თქვენი მომხრე ბიძინა ივანიშვილისგან გარკვეულ თანხებს?

რა სისულელეებს როშავთ? რა აკორდი, რის სტოკატო და რა კრეშჩენდო? (ეს სიტყვები რას ნიშნავს მაცაცო სებისკვერაძეს ჰკითხეთ, მე ახსნა მეზარება).

მინისტრისთვის შესაკითხად მეტი ვერაფერი მოიფიქრეთ?

მართალია, ვერ მოიფიქრეთ და ვერც მოიფიქრებთ, რადგანაც მდაბიოები ხართ როგორც სულით, ისე განათლებით.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ – რა განათლების, პოლიტიკური გამოცდილების და ინტელექტის გამო არიან პარლამენტში თინა ბოკუჩავა, სალომე სამადაშვილი, გუბაზ სანიკიძე, ლევან ხაბეიშვილი და სხვები?

რა ნიშნით უნდა გადაწყვიტონ ამ ტიპებმა ეროვნული თანხმობის საკითხი?

თუ ვინმე თუნდაც სამ არგუმენტს დამისახელებს, ამ სტატიისთვის საჯაროდ ბოდიშს მოვიხდი.

ასე რომ, ჩემი წინადადება პრეზიდენტს (დიახ, სწორედაც წინადადება, რადგანაც მე ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქე და შვილი ვარ), ასეთი გახლავთ:

არ არის ლამაზი ხალხის გარეშე, იმ ადამიანების ჩართულობის გარეშე, ვინც ღირსეულია, ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება გააჩნია, ვინც ხალხში (ხალხში და არა ტელეშოუებში) დაფასებულია, ასეთი ისტორიული მნიშვნელობის მძიმე საკითხის გადაწყვეტა!

კიდევ ერთხელ ვიტყვი, ეროვნული თანხმობა არ არის არც ყოფილი და არც მოქმედი პარლამენტარების და პოლიტიკოსების გადასაწყვეტი და ამიტომ თუ გვინდა რაიმე შედეგს მივაღწიოთ, პირველ რიგში სწორედ ეს ხალხი უნდა მოიძიოთ და დანარჩენ საკითხებზე მათთან ერთად უნდა იმსჯელოთ.

გია გაბრიჭიძე

პარლამენტის თავმჯდომარემ თანამდებობა დატოვა. საკადრო ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება პარტიის პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე იქნა მიღებული. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, კახა კუჭავა რჩება პოლიტიკური გუნდის ერთ-ერთ ლიდერად, პარტიის პოლიტსაბჭოს წევრად და ის იმუშავებს სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან პროექტზე, რის შესახებაც მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ამ ოფიციალურ ვერსიას არ იზიარებს კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე და განმარტავს, რომ კუჭავა შიდაკლანურ დაპირისპირებას შეეწირა.

ვახტანგ ძაბირაძე: პარლამენტის თავმჯდომარის შეცვლა 2024 წლის არჩევნებთან არის დაკავშირებული

— რთული პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს ქვეყანაში. ოპოზიცია ყველანაირად ცდილობს პროცესების რადიკალიზაციას, ამას ემატება მძიმე სოციალური ფონი. ამ დროს პარლამენტის თავმჯდომარე ტოვებს თანამდებობას. მას ენაცვლება შალვა პაპუაშვილი, რომელიც ასოცირდება პრემიერ-მინისტრთან. **გასაგებია, რომ „ქართულ ოცნებაში“ საკმაოდ ხშირად ხდება საკადრო ცვლილებები და საკმაოდ მოულოდნელად. ამ შემთხვევაში რა მოხდა?**

— ცვლილებები ეხება მეორე ეშელონს. რა თქმა უნდა, კონსტიტუციით, პირველ ეშელონს, მაგრამ რეალური ძალაუფლების თვალსაზრისით — მეორე ეშელონს. „ქართულ ოცნებაში“ პირველი პირი იყო რჩება და, ალბათ, მუდამ იქნება **ბიძინა ივანიშვილი**. დანარჩენი, პარლამენტის თავმჯდომარე, პარტიის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და ა.შ. ეს არის მეორე ეშელონი, ხოლო დანარჩენები არიან მესამე. ამიტომ, რეალურად ის პროცესები, რაც თქვენ ჩამოთვალეთ და რასაც ასე დაჟინებით იხილავს საზოგადოება, დიდად არ არის დამოკიდებული იმაზე, ვინ იქნება პარლამენტის თავმჯდომარე.

სულ ბოლო ორ წელიწადში პარლამენტის მესამე თავმჯდომარე შეიცვალა — კობახიძე, თალაკვაძე და კუჭავა. კობახიძეზე მეტ-ნაკლებად ვიცით, რატომ წავიდა, შემდეგ იყო თალაკვაძე, რომელიც ვერ გავიგეთ რატომ წავიდა. ახლა კუჭავა — რა მოხდა, არც ახლა არ ვიცით. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს შიდა პარტიულ დაპირისპირებებს. ანუ, ეს ვერსია, რომ ღარიბაშვილი-პაპუაშვილი ერთი გუნდია, შესაძლოა, ასეც იყოს და მეორე ეშელონში უკვე ცდილობდნენ პოზიციების გამაგრებას.

— როგორ ფიქრობთ, ეს გადაადგილებები შეცვლის „ქართული ოცნების“ პოლიტიკას?

— არა, ვერ შეცვლის. კიდევ ერთხელ, „ქართულ ოცნებაში“ პოლიტიკას და ძირითად მიმართულებებს, გარკვეულ დიაპაზონს აკონტროლებს ივანიშვილი. ამ დიაპაზონზე მუშაობს ეს ხალხი. როცა საჭიროდ ჩათვლის, გადადგება პრემიერიც, პარლამენტის თავმჯდომარეც და პარტიის თავმჯდომარეც. არ მგონია, რომ ამ ცვლილებებით ახალი ერა დაიწყოს. ჩვეულებრივად გრძელდება, ოღონდ პარტიის შიგნით შესაძლოა, გადაჯგუფებები მოხდეს, გარე პოლიტიკაზე ეს გავლენას ვერ მოახდენს.

— შიდაკლანურ დაპირისპირებას შეეწირა პარლამენტის თავმჯდომარე, რომელმაც მანდატიც დატოვა და პარლამენტიც. ეს ცვლილება რას ამბობს, რომელი ჯგუფი ძლიერდება საკანონმდებლო ორგანოში ღარიბაშვილის თუ კობახიძის?

— ჩამოყალიბდა მმართველობის ეს სისტემა და არა კონსტიტუციური, არამედ რეალური მმართველობის სისტემა. კონსტიტუციით ივანიშვილი არაფერს არ წარმოადგენს. თქვენ წარმოიდგინეთ, — არც კობახიძე. აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირი არის ღარიბაშვილი, ეს არის კონსტიტუციით, მაგრამ ჩვენ ხომ კონსტიტუციით არ ვცხოვრობთ. კონსტიტუცია აქვს ყველა ქვეყანას და ჩვენც გვაქვს, მაგრამ არა იმისთვის, რომ კონსტიტუციით ვიცხოვროთ. ამიტომ მმართველობა სხვაგვარად არის. არის ივანიშვილი და ის განსაზღვრავს უმაღლეს საკადრო ცვლილებებს და მასთან ათანხმებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქვევით პირველი ვაზირობისთვის ბრძოლა არ მიმდინარეობს. პარტიის შიგნით მიმდინარეობს ბრძოლა პოზიციის გამყარებისთვის — პირველი ვაზირობისთვის.

— პირველი ვაზირობისთვის ბრძოლაში რომელი „კლანი“ გადაწონის — ღარიბაშვილის, თუ კობახიძის?

— არ ვიცი. ივანიშვილი ვისაც ჩათვლის უფრო სანდოდ და უფრო მისაღებად, გადაწონის ის. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პარტიის შიგნით არ ეძებო მომხრეები და სანამ ხარ, მართლა რეალურად ფლობდე პოზიციებს. დღეს ესეც გაორებულია. თითქოს პარტიის თავმჯდომარე წყვეტს ყველაფერს, პარტიის საბჭო არსებობს, მაგრამ რეალურად ასე არ არის. გაუგებარი მმართველობითი სისტემაა და ამ ვითარებაში რაიმე პროგნოზის გაკეთება რთულია. ვის დაესიზმრებოდა, რომ კუჭავა გადადგებოდა, არაფერს არ აშავებდა, მაგრამ არც არაფერს აკეთებდა. პარტიის ორი წამყვანი ლიდერი განკარგავს ყველაფერს. ერთი ეტყვის და იშიმშილებს ნახევარი პარტია, აქეთ კი სიჩუმეა, — კატასტროფაა. ერთმანეთს ეძახიან მონებს და ამის ბოლო არ ჩანს. შიმშილობა გამოაცხადა მელიამ და ზუსტად მაშინ გაიგო „ნაციონალური მოძრაობის“ ელიტამ.

— ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ კახა კუჭავა იმუშავებს ძალიან მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ პროექტზე, რის შესახებაც მოგვიანებით გაავრცელებენ დეტალურ ინფორმაციას. შეიძლება ამ ვერსიას გავყვეთ?

— სხვას რას იტყოდა? ან უნდა გამოაცხადონ მოღალატედ და წავიდეს ოპოზიციაში, ან რაღაცა უნდა მოიფიქრონ და მოიფიქრეს ეს. გავიხსენოთ, რა თქვა თალაკვაძემ, როდესაც გადადგა, აქედან უკეთეს საქმეს გავაკეთებო. იგივე თქვა ტიკარაძემაც. მინისტრობიდან წავიდა, პარტიაში კურირებს ჯანდაცვას და ამბობს, რომ აქედან უფრო მეტს გავაკეთებ, ვიდრე მინისტრის თანამდებობიდანო. მინისტრი რომ იყავი, მაშინ თუ ვერაფერი გააკეთე, პარტიიდან რა უნდა გააკეთო? თუ კუჭავა პოლიტიკაში აპირებს დარჩენას და რაღაცა იდუმალი უნდა გააკეთოს, ეს საერთოდ გაუგებარია.

— კუჭავას წასვლის ოფიციალურ მიზეზად რა მოტივიც არ უნდა დასახელდეს, როგორ ფიქრობთ, წინა პლანზე ჩანს კლანური დაპირისპირება? ფაქტია, რომ პარლამენტში არის კობახიძის და ღარიბაშვილის გუნდი. როგორ ფიქრობთ, პარტიაში მიმდინარე პროცესები უკავშირდება 2024 წლის არჩევნებს?

— თქვენ სწორად ამბობთ, დიახ, 2024 წლის არჩევნებთან არის დაკავშირებული. მეორე თემა არის ივანიშვილის ნდობის მოპოვება. გასაგებია, რომ კობახიძის და მისი გუნდის მიმართ არის საკმაოდ ნეგატიური დამოკიდებულება, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს გუნდი საკმაოდ დიდი ხანია ძალიან აქტიურია პოლიტიკაში. თუ ნეგატივზე ვილაპარაკებთ, არანაკლებ ნეგატიური დამოკიდებულებაა ღარიბაშვილის მიმართ. შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ კუჭავა არის გარდამავალი ფიგურა. ანუ, როდესაც ორი გუნდი ვერ თანხმდება, ირჩევენ მესამეს. მართვის ასეთ პირობებში ეს ჩვეულებრივი და მიღებული ხერხია.

გარკვეული დროის შემდეგ პაპუაშვილი წამოვიდა წინ. ახლა შემოვიდა პოლიტიკაში, კი ბატონო აქტიურია, მაგრამ ეს ის სკანდალური პაპუაშვილია, რომელმაც ნაციონალი თინა ბოკუჩავა პარლამენტში ხელში აყვანილი ატარა. ანუ, ჯერ საზოგადოებაში არ არის მისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, მაგრამ არც კუჭავასადმი იყო. ოღონდ ამ შემთხვევაში, პაპუაშვილი ახლა შემოდის აქტიურ პოლიტიკაში. ახლა გახდა სამიზნე ფიგურა და ვნახოთ, როგორ გამოიყენებს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს. როგორც ამბობენ, საკმაოდ ხისტი პოლიტიკოსია. ვნახოთ, როგორ გაგრძელდება პროცესი.

„ქართულ ოცნებაში“ სისტემა არ მუშაობს, პიროვნება მუშაობს, ამიტომ ლოგიკას არ ექვემდებარება ეს გადაწყვეტილებები. იმასაც კი არ ცდილობენ, რომ უფრო დამაჯერებელი იყოს გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ. კი, დაძაბული ვითარებაა, მაგრამ დღეს „ქართულ ოცნებას“ კარტბლანში აქვს, მთლიანად მას მიჰყავს პოლიტიკა და კარნახობს პოლიტიკურ დღის წესრიგს ოპოზიციას. ეს ვითარება გვაქვს, სანამ გაგრძელდება, არ ვიცი. გინდა 100 კაცი დამჯდარა საშიმშილოდ და გინდა 300, თუ საზოგადოებაში რეზონანსი არ აქვს, რა აზრი აქვს ამ შიმშილობას?

— საინტერესოა, რატომ არ გამოიწვია ამ ფაქტმა რეზონანსი საზოგადოებაში, ლამის მთელი პარტია შიმშილობს...

— რა რეზონანსი უნდა ჰქონდეს, გარდა მედიისა, ვინმეს აინტერესებს, რატომ შიმშლობენ?

— დასავლეთმაც არ „იყიდა“ პარტიის ეს პერფორმანსი და სხვათა შორის, არც ევროპის სახალხო პარტიამ...

— სხვა რამეს ელოდით? ეს ხომ განწირული სვლაა. რეალობას მოწყვეტილი არიან. არანაირი რეზონანსი ამას საზოგადოებაში არ აქვს. მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას და მათ შორის ვინც „ნაციონალურ მოძრაობას“ უჭერს მხარს, არ აქვს რეაქცია. პრობლემა იცით რა არის? იქაც ბრძოლა მიდის პირველი ვაზირობისთვის. იქ ხომ მართლა ნიკა მელია არ არის თავმჯდომარე. ვინც არის თავმჯდომარე და ყოვლის გამკარგავი, ეგერ არის გორის სამხედრო ჰოსპიტალში. ეს არის რეალობა. მელიას თუ უნდა შეინარჩუნოს პარტიის თავმჯდომარეობა, უნდა ამტკიცოს, რომ სააკაშვილის თავგადადებული მომხრეა. ამიტომ იძულებულია, წავიდეს ამ ნაბიჯზე — შიმშილობაზე!..

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ

ეს არის მიზანმიმართული ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ, — ამის შესახებ მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსის, მეუფე მელქისედეკმა უბისას წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მრევლის ნაწილის პროტესტზე საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, ის მრევლს შეხვდა, თუმცა შეხვედრაზე არ ყოფილან ისინი, ვინც დღეს აქცია გამართა.

„ტაძარში სასულიერო პირებმა წირვა ჩაატარეს და არც შეწყდება. ის ფაქტი, რომ მე მათ არ ვესაუბრები, არის სიცრუე. მიუხედავად იმისა, შეუძლოდ ვარ, შეხვედრაზე მაინც მივედი და არცერთი ადამიანი, ვინც დღეს აქციას მართავდა, იქ არ ყოფილა. ნაწილი უბისას მრევლიც არაა. ეს არის მიზანმიმართული ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ, — განაცხადა მეუფე მელქისედეკმა.

ომარ მარგველაშვილი:

ბატონო ბიძინა, უსმინეთ ხალხს და არა პარტიებს!..

(პირველი გვერდიდან) არადა, ზოგიერთი უმადური, საზოგადოებისთვის უსაქციელობით კარგად ცნობილი არაადამიანი ბატონ ბიძინას უსაფუძვლოდ აკრიტიკებს. მეტიც, მას უპატივცემულოდ მოიხსენიებენ ისინიც კი, ვისაც წლების მანძილზე უანგაროდ ფინანსურად ეხმარებოდა!

თუმცა, დაუნახავ და უმადურ ხალხს ქვეყანაში რა გამოლევს?!

ამის კლასიკური მაგალითია თუნდაც თაკო ჩარკვიანი: მის ოჯახს ბატონი ბიძინა ყოველთვიურად 5000 ლარს ჩუქნიდა და ინვალიდ ძმას ხუთი ოპერაცია დაუფინანსა გერმანიაში. ქალბატონი თაკო კი მადლიერების გამოხატვის სანაცვლოდ ლანძღავს ცნობილ ქველმოქმედსა და მეცენატს. ამ ქალბატონს დღემდე ვერ მოუნელებია: კულტურის მინისტრის მოადგილის სავარძელში რატომ არ ჩამსვაო, არადა იქ უკვე იჯდა „ლონდრეს“ ქალიშვილი და კალთაში ხომ ვერ ჩაუსვამდა?! თან გაუმაძღრობისგან ლამის ბოღმით დაიხრჩოს, ყოველთვიური დახმარება ხუთი ათასი ლარი ჯანსუღის გარდაცვალების შემდეგ დედაჩემზე რატომ არ გადაამისამართაო! თითქოს, ბატონ ბიძინას არ მიუძღოდეს წვლილი მამამისის, ჯანსუღ ჩარკვიანის მთაწმინდაზე, ამ წმინდა სავანეში აბრძანებაში!

აი, ასეთი უზნეო ქალბატონი ზის პარლამენტში და, ზიზღით შეპყრობილი, აუგად მოიხსენიებს კეთილგონიერ, წარმატებულ, ღირსეულ და ზნეკეთილ პიროვნებას, ქალბატონ თეა წულუკიანს.

სამაგიეროდ, აქებს და ადიდებს საქართველოს დამაქცევარსა და ფსიქიკაშერყეულ მიშა სააკაშვილს, თან იმუქრება: თუ მას ციხიდან არ გაათავისუფლებთ, „გოლოვინსკზე“ ლეიბებს დავცემ და ვიკოტრიალებო, თითქოს ვინმე ეცილებოდეს!

ზემოაღნიშნულ მეცხრე კლასისთვის განკუთვნილ ისტორიის სახელმძღვანელოში სააკაშვილის აღზევების პერიოდი გადმოცემულია სრულიად არაობიექტურად, თითქოსდა მან კორუფციის დაძლევა ყველა სფეროში მოახერხა.

რაც მთავარია, არ არის აღნიშნული, რომ სააკაშვილიც და მისი ხელისუფლებაც ელიტურ კორუფციაში ყელამდე იყო ჩაფლული, თან აუარება შიდაპოლიტიკური შეცდომა დაუშვა. მაგალითად, ერგნეთის ბაზრობის დახურვა სიბრიყვე იყო, გადაცდომებად არის შეფასებული სრულიად უდანაშაულო ადამიანების დაჭერები, წამება, მხეცურად ცემა და სიკვდილის პირას მიყვანა, მკვლელობები, ქონებისა და ბიზნესის ყაჩაღურად წართმევა; არაფერია ნათქვამი 26 მაისის და 7 ნოემბრის ხელისუფლების ბარბაროსობაზე, დავით გარეჯის, კოდორის ხეობის და ლენინგორის გაყიდვაზე, რუსებთან უგუნური სამდღიანი ომის დაწყებასა და უდიდესი მსხვერპლით და გამოძევებული დევნილებით სამარცხვინო დამარცხებაზე, რომელიც სახელოვან გამარჯვებად მოინათლა, მერე კი იმავე საღამოს გრანდიოზული ზარ-ზეიმით აღინიშნა; ამ მარცხის შემდეგ ქვეყნის უამრავი სტრატეგიული ობიექტის დამპყრობელ რუსეთზე გადაცემაზე და, რაც მთავარია, სააკაშვილის მმართველობის გაზვიადებულ შეფასებაზე.

ამავე დროს დადებითად არის შეფასებული ავღანეთში ჩვენი სრულიად უგუნური მისია, სადაც ჩვენი საჯიშე ახალგაზრდები იღუპებოდნენ და დასახიჩრებულები გვიბრუნდებოდნენ, ვითომ გვაკლდა მსხვერპლი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში!

გარდა ამისა, სააკაშვილმა დედამისს გიული ალასანიას ერთ ლარად გადასცა მილიონებად ღირებული ქონება, მომხვეჭელ და უნამუსო ბენდუქიძეს კი ჩვენი სამრეწველო პოტენციალი გაანიავებინა. ხალხმა არ იცის, ვის ხელშია ჩვენი სამრეწველო ობიექტები. ასევე არაფერია ნათქვამი სხვა მრავალ ბოროტებაზე, რაც მისი მმართველობის პერიოდში ხდებოდა.

აქვე აუცილებლად უნდა ითქვას სააკაშვილის ხელისუფლების შემდგომი პერიოდის ზოგიერთ ასპექტზე, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ქვეყანაში შექმნილი აშკარად არასახარბიელო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზია, რაზეც მთელი პასუხისმგებლობა „ქართული ოცნების“ პარტიასა და მის ხელმძღვანელს ეკისრება.

რატომ ვასწავლით ახალგაზრდებს დამახინჯებულ უახლეს ისტორიას?

ბატონო ბიძინა, სამწუხაროდ, თქვენი ნეპოტიზმით გაჟღენთილი საკადრო პოლიტიკა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. სწორედ თქვენმა შერჩეულმა, სრულიად დაუმსახურებლად მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე დაწინაურებულმა და პარლამენტში მჯდომმა მდუმარე-მთვლემარემ, ან გულუხვად დაფინანსებულებმა მრავალმა გარეწარმა გიღალატათ და მტრად გადაგეკიდათ. როგორ გგონიათ, რატომ? მე კი მგონია, იმიტომ, რომ თქვენ არ იცნობთ საქართველოში კეთილგონიერ, განათლებულ, გამოცდილ პროფესიონალებს, ღირსეულ პიროვნებებს. თქვენ რომ თავიდანვე თქვენს ირგვლივ შემოგეკრიბათ სამშობლოს მოყვარული ჭეშმარიტი მამულიშვილები მრჩევლებისა და კონსულტანტების სახით, ქვეყნის განვითარებასა და ეკონომიკურ წინსვლას ვერაფერი დააბრკოლებდა. მრჩევლები, ვფიქრობ, სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით უნდა შეგერჩიათ.

თქვენ რომ ამ პრინციპით გეხელმძღვანელათ და არა პიროვნული ერთგულებით და სიმპათია-ანტიპათიით, დღეს მრავალი ახალი სამრეწველო საწარმო გვექნებოდა, არსებულთა მოდერნიზაციით და გადაიარაღებით კი უამრავი ხალხი დასაქმდებოდა, უმუშევრობა საგრძნობლად შემცირდებოდა და უცხოეთში დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ სამუშაოებზე აღარ გადაიხვეწებოდა. იგივე მოხდებოდა სოფლის მეურნეობის განვითარების შემთხვევაშიც: სოფელი არ დაიცლებოდა და არ გაპარტახდებოდა, ოჯახები არ დაინგრეოდა, დოვლათი მომრავლდებოდა, უცხოეთიდან მდარე ხარისხის პროდუქციის შემოდინება მკვეთრად შემცირდებოდა. და, რაც მთავარია, ქვეყნის შემოსავალი და ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზრდებოდა და სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი დარგები განვითარდებოდა. ამასთან, დიამეტრულად უნდა შეიცვალოს კადრების შერჩევისა და დაწინაურების პოლიტიკა, ქვეყნის ეკონომიკის მართვის მეთოდები. საჭიროა, იჩქაროთ, მაგრამ ფრთხილად და დაკვირვებით!

ფსიქიკურად შერყეულ სააკაშვილს მრავალი წლის მანძილზე რატომ უნდა უჭერდნენ მხარს ამერიკაც და ევროპაც?!

მათ მიერ შემოტენილი კადრები, რაშიც „პირველი ვიოლინო“ სააკაშვილის ბიძა, ორმაგი აგენტი თემურ ალასანიაა, რომელიც ვითომ მიშას დაბადების დღის აღსანიშნავად ჩამობრძანდა და თურქეთში გაიპარა... ბიძა-დისშვილს საქართველოში შემოპარვა და გაპარვა ეხერხებათ, კიდევ ქართველი ხალხის დედის გინება და საბიუჯეტო სახსრების ქურდობა.

ვითომ ომბუდსმენები – გარეწარი ნინო ლომჯარია და მისი წინამორბედი, მანქურთი უჩა ნანუაშვილი მოსწონთ ბატონ კარლ ჰარცელს და ქალბატონ კელი დეგნანს, იმიტომ, რომ მხარს უჭერენ დესტრუქციულ ძალებს – ესენი ხომ მათი რეკომენდაციით დაინიშნენ ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ისიც გაუგებარია, ეს ყოვლისმცოდნე ტუტუცი მარიამ ჯიშკარიანი საიდან გამოტყვრა. მიშას კი თავი უწყინარი კრავი ჰგონია და მხოლოდ სხვებს ადანაშაულებს ყველაფერში, საკუთარი თავი კი სიმართლისა და სიკეთის სიმბოლოდ გამოჰყავს ამ ბოროტს! ჩვენმა უნიათო ხელისუფლებამ კომფორტული პირობები შეუქმნა სააკაშვილს, ის ყოველდღე იღებს პარლამენტარებს, ადვოკატებს, ექიმებს, ნათესავებს და თავისი „ოფისიდან“ იძლევა დარიგებებს, მითითებებს, სარგებლობს ყველა პრივილეგიით. რატომ, რა დამსახურებისთვის?! ჩვენ გლობალურ პანდემიას მოვიშორებთ, მაგრამ მათი „წყალობით“ მიშას ვერ მოვიცილებთ, ის მოუშორებელ ჭირად გადაგვექცა – კაცი, რომელიც ოფიციალურ მიღებაზე გამოცხადდა წინდებში ჩატენილი შარვლით, თან შარვალიც უკუღმა ეცვა და ტრიბუნასთან ისე გაიჯგიმა! ეს კადრები ხომ მსოფლიომ იხილა!

ცხრა წელია, ხალხი მხარს გიჭერთ, ბატონო ბიძინა, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენ ჯეროვნად არ ითვალისწინებთ მათ სამართლიან მოთხოვნებს. უსმინეთ ხალხს და არა პარტიებს, მით უმეტეს, უცხოელ მრჩევლებს, ექსპერტებსა და თითის დამქნევ ჭკუის დამრიგებლებს.

დაგვიანებულია, მაგრამ სამი წელი კიდევ წინა გაძვთ, ბევრი რამის გამოსწორება და მოსწრება შეიძლება. დროს ტყუილად ნუ დაკარგავთ ოპოზიციასთან, მით უმეტეს, შეურაცხადი სააკაშვილის გარემოცვასთან და უცხოეთის შემაღონებელ არაობიექტურ მენტორებთან უნაყოფო ჭიდილში. ამ თავხედ ბრბოს, ჩვენი ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობა არ სურს, თორემ რუსეთთან ომის დამწყებ, ტერიტორიების დამკარგველ და გამყიდველ, კორუმპირებულ, ბიუჯეტის მძარცველ, სისხლიანი რეჟიმის შემოქმედს, მართლმადიდებლობის და ეკლესიის მგმობელს, ხალხის მჩაგვრელს, არაჩვეულებრივი ძეგლების ამფეთქებელს, ყველაფერი, ჩვენ ხომ ვიცოდეთ, ბატონ ბიძინა, ეს ბოროტი ადამიანი ვინ არის, ეს ბოროტი ადამიანი ვინ არის, ეს ბოროტი ადამიანი ვინ არის!

P.S.

ჩვენს მადლიან მიწაზე მოწეულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს იშვიათად იხილავთ ბაზარში ან სუპერმარკეტში. ამას წინათ ერთ მაღაზიაში ვნახე – რვა სახის ყურძენი იყიდებოდა. გამყიდველმა მითხრა, ბატონო, რვავე სომხეთიდან არის ჩამოტანილიო. გავოგნდი! სირცხვილია, რომ ეს ხდება ვაზისა და ღვინის 8000-წლიანი ისტორიის მქონე ქვეყანაში. ვინც შრომობს, ბაზარზეც ის ბატონობს. ხალხმა ზვრებში, ყანებში, ბაღებში, მინდვრებში რომ იშრომოს, ვინღა იაროს გაუთავებელ-დაუმთავრებელ, შემაღონებელ მიტინგებსა და აქციებზე? ცხოვრებაგამოვლილი კაცი ვარ, რა არ გამიგია, მაგრამ საყოველთაო შიმშილი, ისიც 6 თუ 8 წლის მანძილზე, ღმერთმანი, არ მსმენია!

ამას წინათ, ბატონმა ნოდარ ჭითანავამ, ჩვენმა სასიქადულო მეცნიერმა, წარმატებულმა და ცნობილმა სამეურნეო ხელმძღვანელმა, გამოცდილმა ეკონომისტმა, დოქტორმა, პროფესორმა, ღირსეულმა პიროვნებამ გამომიგზავნა თავისი ახალი არაჩვეულებრივი წიგნი, წლების მანძილზე ნაჯაფარი – „საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხილული და უხილავი პრობლემები“. ვურჩევ ყველას, ვინც დაინტერესებულია ჩვენი სამშობლოს წინსვლით, ეკონომიკური სიძლიერით, ქვეყნის განვითარებით, აუცილებლად დაკვირვებით წაიკითხოს ეს ჭეშმარიტად მეცნიერული ნაშრომი, რომელიც სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, თავისი დატვირთვით, სტრუქტურით, მოცულობით და დახვეწილი მოსაზრებებით.

მადლობა, ბატონო ნოდარ!

* * *

სრულიად საქართველოს ვუსურვებ დამდეგ ახალ წელს!

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში იგეგმება 40 მილიონი დოლარის ღირებულების ორი კოლაიდერის მონტაჟი, რომელთა შეძენას ჩვენს სახელოვან მამულიშვილს ბიძინა ივანიშვილს უნდა ვუმადლოდეთ და რომ ქვეყნისთვის უდიდესი სიკეთეა ასეთი დიდი ქველმოქმედის ყოლა.

პროტონული თერაპია საქართველოში: აწმყო და პერსპექტივები

ადამიანის ჯანმრთელობისთვის უაღრესად სახიფათო ონკოლოგიურ დაავადებებთან ბრძოლის უმნიშვნელოვანესი თანამედროვე მიმართულების — პროტონული თერაპიის ზოგიერთი საკითხის განხილვას მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოსა და მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების ბირთვული ენერგიისა და რადიაციული უსაფრთხოების კომისიის 17 დეკემბერს გამართული ერთობლივი სხდომა. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საბჭოსა და კომისიის წევრებმა, ასევე მოწვეულმა სპეციალისტებმა — მედიკოსებმა და ფიზიკოსებმა.

მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ერთობლივი თავყრილობა გახსნა მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს თავმჯდომარემ, ფზიოლოგიის და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა **რამაზ ხეცურიანმა,** რომელმაც ილაპარაკა სიმსივნეთა მკურნალობაში პროტონული თერაპიის უდიდეს მნიშვნელობაზე, რომელიც, არსებითად, გრანდიოზული ნახტომისებური წინსვლაა თანამედროვე მედიცინაში. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში იგეგმება 40 მილიონი დოლარის ღირებულების ორი კოლაიდერის მონტაჟი, რომელთა შეძენას ჩვენს სახელოვან მამულიშვილს ბიძინა ივანიშვილს უნდა ვუმადლოდეთ და რომ ქვეყნისთვის უდიდესი სიკეთეა ასეთი დიდი ქველმოქმედის ყოლა.

აკადემიკოსმა რამაზ ხეცურიანმა დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ბოლო ხანებში მედიცინისა და ფიზიკის მჭიდრო ურთიერთობას ძალიან კარგი შედეგები მოაქვს და რომ ამ ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომში გაგრძელებას საუკეთესო პერსპექტივები აქვს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ონკოლოგიური დაავადებები, რომელთა ასზე მეტ სახეობას განასხვავებენ, თანამედროვე მსოფლიოში სიკვდილიანობის მიზეზთა შორის რიგით მეორე ადგილზეა. სტატისტიკა მოწმობს, რომ მსოფლიოში დაახლოებით ყოველი მეექვსე ადამიანის სიკვდილი კიბოთია გამოწვეული, ხოლო მათი თითქმის 70 პროცენტი ეკონომიკური განვითარების დაბალ და საშუალო დონეზე მყოფი ქვეყნების მოსახლეობაზე მოდის. ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზის დასმისთანავე, ექიმიც და პაციენტიც უმოკლეს ვადაში კრიტიკული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობის წინაშე დგებიან, რაც შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში შიშის, შფოთვისა და გაურკვევლობის გრძნობას იწვევს, რომელთა დაძლევა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიგნება შესაძლებელია ამ საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებული ობიექტური ინფორმაციის მიღებითა და გააზრებით. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ პაციენტს ჰქონდეს სანდო და საკმარისი ინფორმაცია კიბოს მკურნალობის ყველა იმ თანამედროვე მეთოდის შესახებ, რომელსაც მას ექიმები სთავაზობენ, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მოსალოდნელი უპირატესობების, სავარაუდო რისკების, შესაძლო გართულებებისა და მკურნალობის ღირებულების ხელმისაწვდომობის განსაზღვრა.

ელემენტარული ნაწილაკებით თერაპიის არსის გასარკვევად ვიტყვით, რომ ეს არის გარე წყაროდან მიღებული შესაბამისი ენერგიების მქონე ნეიტრონების, ელექტრონების, პროტონების ან სხვა დადებითად დამუხტული იონების ნაკადებით კიბოს რადიოთერაპიის ერთ-ერთი ფორმა. ასეთი თერაპიის ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმა კი ეგრეთ წოდებული პროტონული თერაპიაა.

კიბოს პროტონული თერაპია (ეს კრებსითი სახელწოდებაა და რამდენიმე სახეობას აერთიანებს), ტრადიციული რადიოთერაპიის მსგავსია, ოღონდ სიმსივნეებისა და სხვა ონკოლოგიური წარმონაქმნების სამკურნალოდ რენტგენის სხივების ნაცვლად მაღალენერგეტიკულ პროტონებს იყენებს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, ფიზიკოსმა **უილიამ ბრეგმა** აღმოაჩინა, რომ ნივთიერებაში გავრცელებისას, პროტონები მათი ენერგიის უდიდეს ნაწილს გარემოს გადასცემენ მოძრაობის ტრაექტორიის ბოლო მონაკვეთზე, რაც მათი ნაკადით სიმსივნური წარმონაქმნის ზუსტად „დაბომბვის“ საშუალებას იძლევა. ამან, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა პროტონული თერაპიის მეთოდის წარმატებულ განვითარებას. 1946 წელს კი **რობერტ უილსონმა** თავის ნაშრომში დაასაბუთა პროტონების დასხივებით სიმსივნეთა მაღალეფექტიანი მკურნალობის შესაძლებლობა. 1957 წელს შვედმა მკვლევარებმა ჩაატარეს პროტონული ნაკადებით მკურნალობის პირველი საცდელი სეანსები, 1959 წელს კი ამერიკელმა მეცნიერებმა დაიწყეს სინქროციკლოტრონის მეშვეობით მიღებული მაღალენერგეტიკული პროტონების გამოყენება რადიაციული თერაპიისთვის. ასე ეტაპობრივად ვითარდებოდა ეს მიმართულება. მსოფლიოში სამედიცინო პროტონული (ანდრონული) თერაპიის საწყისად მიჩნეულია 1990 წელს ჰოსპიტალური ტიპის პირველი სპეციალიზებული ცენტრის გახსნა კალიფორნიის (აშშ) ლომა-ლანდის უნივერსიტეტში.

ბოლო წლებში მსოფლიოში სწრაფად იზრდება პროტონული თერაპიით მკურნალობის მოქმედი ცენტრების რიცხვი, იგეგმება ახლების აგება-ამოქმედება. 2020 წლის სექტემბრის მონაცემებით, მსოფლიოში მოქმედებდა ნაწილაკებით (პროტონებითა და ნახშირბადის იონებით) თერაპიის 110 დაწესებულება, მათ შორის, ყველაზე მეტი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში (შესაბამისად, 38 და 24). 2025 წლამდე დაგეგმილია აშენდეს და ამოქმედდეს კიდევ 27 ახალი ასეთი ცენტრი. საგულისხმოა, რომ საჯარო ცნობარებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში მოიძიება ინფორმაცია საშუალოდ ერთ ცენტრზე გათვლილი მოსახლეობის ფაქტობრივად არსებული და გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის შესახებ, რომლის თანახმად, დღესდღეობით საქართველო, მოსახლეობისა და ტერიტორიის მიხედვით, არის ყველაზე მცირე ქვეყანა, რომელიც გეგმავს ან აშენებს პროტონული თერაპიის ცენტრს. ცენტრის ამოქმედების შემდეგ კი ქვეყანა, მოსახლეობისთვის პროტონული თერაპიის მისაწვდომობის დონით, მსოფლიოში მესამე ადგილზე იქნება შვეიცარიისა და ნორვეგიის შემდეგ.

არსებულ სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი ცხადჰყოფს, რომ დღესდღეობით მოთხოვნა პროტონული თერაპიის გამოყენებაზე რამდენჯერმე აღემატება მიწოდების პოტენციალს. ამდენად, პროტონული თერაპიის ყოველი ახალი ცენტრის გაჩენა მსოფლიო რუკაზე მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვის გზაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინწადგმული ნაბიჯია. და, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სხდომაზე ერთ-ერთმა მომხსენებელმა აღნიშნა, პროტონული თერაპიის ცენტრის სიმძლავრე, სრულიად ობიექტური მიზეზების გამო, შეზღუდული იქნება და წელიწადში პაციენტთა გარკვეულ ოდენობაზე მეტს (არაუმეტეს ოთხასისა) ფიზიკურად ვერ მიიღებს, თუმცა კი მისი ამოქმედება მაინც უდიდეს სიკეთეს მოუტანს სნეულ ადამიანებს.

ისე კი, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში 14 მილიონი ონკოშემთხვევა დგინდება, ახლო მომავალში კი მათი რიცხოვნობა 23 მილიონამდე გაიზრდება.

სხდომაზე მოხსენებით **„ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადრონული თერაპიის ცენტრი“**, დამსწრეთა წინაშე წარსდგა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი **რევაზ შანიძე.** მან ილაპარაკა ადრონული თერაპიის ცენტრის მშენებლობის მიმდინარეობაზე, მისი თანამედროვე აპარატურითა და ორი ამაჩქარებლით აღჭურვის, აგრეთვე მომსახურე პერსონალის სათანადო დონეზე მომზადების საკითხებზე, საზოგადოებას გააცნო მუშაობის თემატიკა და სამომავლო გეგმები.

„პროტონული თერაპიის ბიოლოგიური ეფექტიანობისა და უსაფრთხოების გაზრდის თანამედროვე ტენდენციები“, — ეს გახლდათ ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის წარმომადგენლის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა პროფესორის **არჩილ ჭირაქაძის** მოხსენების თემა. მომხსენებელმა საფუძვლიანად მიმოიხილა მედიცინაში პროტონული თერაპიის სფეროში რადიაციული უსაფრთხოების საჭირბოროტო საკითხები. მან ასევე აღნიშნა, რომ თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მოსახლეობის შედარებით სიმცირესა და, ამასთან ერთად, პროტონული თერაპიისთვის საჭირო კომპლექსური აღჭურვილობის სიძვირეს (დაახლოებით 20-22 მილიონი დოლარი მშენებლობის ხარჯის გარეშე), ანალოგიურ ცენტრებთან საკმარისად მაღალი კონკურენტუნარანობის მისაღწევად, განსაკუთრებით ფასეული იქნება მკურნალობისას დამატებითი ეფექტიანობის უზრუნველყოფისთვის საკუთარი „ნოუ-ჰაუ“. ასევე აღინიშნა, რომ ორი კოლაიდერიდან ერთი განკუთვნილია მეცნიერული კვლევებისათვის, რასაც უდაოდ ძალზედ დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნისთვის.

ძალზე საინტერესო. ვრცელი და უაღრესად მნიშვნელოვანი მოხსენება წარმოადგინა ქუთაისელმა პროფესორმა **კახა ნურალიძემ.** მან ვრცლად მიმოიხილა მსოფლიოში არსებული კლინიკების მუშაობის დაგეგმარების და მართვის საკითხები, სადაც კოლაიდერები არის დამონტაჟებული და აქტიურად მიმდინარეობს ადრონული თერაპია. აღინიშნა, რომ მკურნალობის ეს ფორმა დღეისთვის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მრავალპროფილურ ონკოლოგიურ საავადმყოფოებში მიმდინარეობს.

ფ. თოდუას სახელობის კლინიკის რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მედიცინის დოქტორის **ნატალია ჯანყარაშვილის** მოხსენების თემა კი **„პროტონული თერაპიის გამოყენება კლინიკაში“** იყო, რომელშიც სწავლულმა მედიკოსმა ამ მეთოდით მკურნალობის სამედიცინო ასპექტებზე ილაპარაკა.

მოხსენებების განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა: კონსტანტინე მარდალეიშვილმა, ელზა ვაშაკიძემ, ზურაბ ხელაძემ.

აკადემიკოსმა **გიორგი ჯაფარიძემ** აღნიშნა რომ, ეს შეხვედრა, ალბათ, დასაწყისი იქნება იმ დიდი სამუშაოსი, რომელიც ერთდროულად უნდა აწარმოონ ექიმებმა და ფიზიკოსებმა. აკადემიკოსმა **რამაზ ხეცურიანმა** განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა როგორც მომავალი მუშაობის, ასევე დაგეგმვის საკითხებს, აღნიშნა, რომ ეროვნული აკადემია მზად არის მხარში ამოუდგეს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და თავისი წვლილი შეიტანოს კვლევითი ლაბორატორიების მოწყობის, მუშაობის დაგეგმვის თუ მართვის ორგანიზების საკითხებში, იმედი გამოთქვა, რომ ასეთი სხდომები კვლავაც გაიმართება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ 2024 წლისთვის, როდესაც მონტაჟის დამთავრებაა დაგეგმილი, სამედიცინო და კვლევითი სამსახურებიც უზრუნველყოფილი იყვნენ შეასბამისი კადრებით და სამეცნიერო პოტენციალის მქონე მკვლევარებით.

სხდომის მიწურულს მომხსენებლებმა დამსწრეთა, მათ შორის დედაქალაქის წამყვანი კლინიკების ხელმძღვანელთა შეკითხვებს უპასუხეს, შემდეგ კი მონაწილეებმა მოიწონეს რეზოლუციის პროექტი, რომელშიც მოცემულია შესაბამისი რჩევები მთავრობისა და დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის.

ოთარ ტურაბელიძე

ცნობილ ქართველ ფილოსოფოსს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ქართული ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელს ანზორ ბრეგაძეს 85 წელი შეუსრულდა.

უანგარო, კაცთმოყვარე ფილოსოფოსი



ანზორ ალექსანდრეს ძე ბრეგაძე დაიბადა 1936 წლის 28 დეკემბერს ქუთაისში, სადაც ქართული ტრადიციებით მდიდარ ოჯახში გაატარა ბავშვობა. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ სამეცნიერო საქმიანობას შეუდგა.

მისი აღმზრდელ-ხელმძღვანელი ცნობილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი ანგია ბოჭორიშვილი გახლდათ. აკადემიკოს ანგია ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილებაში შეუდგა ადამიანის ფილოსოფიური პრობლემების კვლევას. ამ დროიდან მოყოლებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტში მან განვლო მეტად საინტერესო სამეცნიერო გზა — დაწყებული მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობით ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების გამგეობით დამთავრებული. 1986-2011 წლებში იგი ფილოსოფიის ინსტიტუტში ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

მთელი თავის შეგნებული საქმიანობა მან ამ ინსტიტუტს შეალია, ვიდრე საქართველოს მტრები ფილოსოფიის ინსტიტუტს დახურავდნენ (2011).

ინსტიტუტში მუშაობის წლებში შეიქმნა მისი ორიგინალური ნაშრომები, რომლებიც შემდეგში წიგნად გამოიცა. მათგან უმთავრესია: „ადამიანის არსი და ხასიათი“ (1991), „შეიცან თავი შენი — (ადამიანის შემეცნების მეთოდები) (1994), „მარადიული სიბრძნე“ (2016), „ქართველი ფილოსოფოს-ანთროპოლოგები (2007), „ადამიანის შინაგანი ბუნება და მისი გარეგამოვლინება“ (1984), „ადამიანის შესახებ რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფციების კრიტიკა“ (1977), „რა არის ადამიანი?“ (1997), „ადამიანი და რწმენა“ (1988). ანზორ ბრეგაძეს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქართულ და უცხოურ ენებზე, რომლებიც შეეხება ფილოსოფიური ანთროპოლოგიის არაერთ საკვანძო საკითხებს. თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში მან შეიმუშავა გონითი ანთროპოლოგიის კონცეფცია, რომელიც ადამიანის არსს ხედავს გონით მოღვაწეობაში, საგნებისგან საკუთარი თავის დისტანცირებაში. ადამიანის შემეცნების სპეციფიკურ მეთოდად გაგებას მიიჩნევს, თუმცა, არც აღწერასა და ახსნას უარყოფს. იგი არის გონითი რელიგიურ-ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში.

სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად ანზორ ბრეგაძე პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, უცხო ენებისა და თეატრალურ ინსტიტუტში, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, უცხო ენებისა და თეატრალურ ინსტიტუტში. მუშაობდა თბილისის ადამიანთმცოდნეობის ინსტიტუტში დეკანის თანამდებობაზე. იყო გამორჩეული პედაგოგი. მისი ლექციები სტუდენტი ახალგაზრდობის უდიდეს მოწონებას იმსახურებდა. 1995 წლიდან ანზორ ბრეგაძე არის საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. აღსანიშნავია, რომ ანზორ ბრეგაძის კალამს ეკუთვნის არაერთი სამეცნიერო სტატია, რეცენზია და საინტერესო კრიტიკული წერილები, რომლებიც ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ადამიანის ცხოვრების საზრისისა და რელიგიური რწმენის აქტუალურ პრობლემებს შეეხება. მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში ჩანს სიღრმისეული აზროვნება და გამოღწეული ფილოსოფიური ხელწერა.

ბატონ ანზორს, როგორც ანგია ბოჭორიშვილის ანთროპოლოგიის მემკვიდრეს, არაერთი ბრძოლა გადაუტანია იმ დროისთვის ფილოსოფიის ამ ახალი განშტოების ქართულ სააზროვნო სივრცეში დასამკვიდრებლად.

ქართველ ფილოსოფოსთა შორის ანზორ ბრეგაძე გამორჩეულია თავისი უანგარობით, კაცთმოყვარეობითა და სტუმართმოყვარეობით. საინტერესო პედაგოგი და მეცნიერი კიდევ უფრო საინტერესო და მომხიბვლელი ხდება მეგობრებისა და მისი სათაყვანებელი კოლეგების წრეში ქართულ სუფრასთან.

სწორედ ქართულ სუფრასთან ანზორთან ერთად გატარებული დრო ფილოსოფიური აზროვნების ზეიმი და შეუცნობელის შეცნობის მორიგი ვირტუოზული გაკვეთილები გახლავთ ყველასთვის.

ანზორ ბრეგაძე თავისი ყოველდღიური ცხოვრებით, შემოქმედებითი საქმიანობითა და პატრიოტიზმით ადასტურებს, რომ ფილოსოფოსობა ცხოვრების განსაკუთრებული წესია და ამ წესით მცხოვრები ადამიანები უდიდეს პატივისცემასა და დაფასებას იმსახურებენ. აქვე აღსანიშნავია ანზორ ბრეგაძის ერთგულება ეროვნული ხელისუფლებისა და ზვიად გამსახურდიასადმი. მაშინ, როდესაც ქართული ინტელექტუალური ინტელიგენციის მრავალ წარმომადგენელს ეროვნული ხელისუფლების გვერდით დგომა ეხამუშა, ანზორ ბრეგაძე ერთ-ერთი პირველი დაუდგა გვერდით ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად ბატონი ანზორ ბრეგაძე უბადლო მეოჯახეა. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი — ანა და სანდრო, შვილიშვილები — ბაქარი, მარიამი, დათა ბრეგაძეები, ნინია, დათუნა და სანდრო ძნელაძეები.

85 წლის ასაკში ბატონი ანზორი კვლავაც მხნედ გამოიყურება. ამ სიმხნევეს აძლევს იმის რწმენა, რომ მისი სათაყვანებელი საქართველო მალე გამთლიანდება და გაბრწყინდება.

ვუსურვებთ ჩვენს სახელოვან იუბილარს, ძმას და მეგობარს ანზორ ბრეგაძეს ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიისა და კოლეგა ფილოსოფოსების სახელით

ირაკლი კალანდია,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

კახა ძეცბაია,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ვის და რომელი კატეგორიის პატიმრებს შეეხებათ ამნისტია

„ამნისტიის შესახებ“ პროექტის თანახმადაც, ყველა პირს, რომლებიც 2020 წლის 5 მარტიდან 2020 წლის 25 მაისამდე, ასევე 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდში პატიმრობაში ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სტატუსით იმყოფებოდა, სასჯელის მოხდის ვადა განსხვავებული წესით დაუანგარიშდებათ.

კერძოდ, მომზადებულ კანონპროექტში, რომლის ავტორიც უმრავლესობის წევრი **მიხეილ სარჯველაძეა,** აღნიშნულია, რომ ამ პერიოდში სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ბრალდებულებს ჩაეთვლებათ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: პატიმრობის 4 დღე — თავისუფლების აღკვეთის 5 დღე.

„მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (კოვიდ-19) გავრცელების შედეგად გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, საქართველოს სხვა ქვეყნების მსგავსად, მოუწია რიგი პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების გამოყენება, რაც რიგ შემთხვევებში დაკავშირებული იყო ადამიანის ცალკეული უფლებების შეზღუდვასთან. შეზღუდვები შეეხო, მათ შორის, პატიმრობაში მყოფ პირებს, რომლებსაც თავისი სტატუსიდან გამომდინარე ისედაც შეზღუდული აქვთ მთელი რიგი უფლებები. ამდენად, პანდემიით შექმნილი მდგომარეობა მათთვის განსაკუთრებით რთული გამოდგა, რის გამოც სახელმწიფო, მათთვის დაწესებული შეზღუდვების (ხანმოკლე პაემნის უფლების შეზღუდვა) სამართლიანი კომპენსირების მიზნით, ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდს სასჯელის მოხდის ვადაში განსხვავებული წესით ჩაუთვლით.

კანონპროექტის მიღების შედეგად, ყველა პირს, რომლებიც 2020 წლის 5 მარტიდან 2020 წლის 25 მაისამდე, ასევე 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის პირველ იანვრამდე პერიოდში იმყოფებოდა პატიმრობაში ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სტატუსით და რომლებსაც მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შეეზღუდათ პატიმრობის კოდექსით გარანტირებული ხანმოკლე პაემნის უფლება, პატიმრობაში ყოფნის ერთი დღე ჩაეთვლება სასჯელის მოხდაში შემდეგი გაანგარიშებით: პატიმრობაში ყოფნის 4 დღე: სასჯელის მოხდის 5 დღე“, — ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში. ამასთან, ამნისტიის აქტი ვრცელდება 2004 წლის 1 იანვრამდე ჩადენილ დანაშაულებზე.

„კერძოდ, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან (გარდა უვადო თავისუფლების აღკვეთისა) პირი, რომელმაც 2004 წლის 1 იანვრამდე ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. კანონპროექტის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა ამავე კანონით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადება ან მცდელობა. პირი, რომლის მიმართაც ვრცელდება ამ მუხლით გათვალისწინებული ამნისტია, ითვლება ნასამართლობის არმქონედ. მსჯავრდებულისთვის ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმა, რომელიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის აღსრულებულია, მას არ დაუბრუნდება“, — ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში. ამასთან, ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში, მისი შინაარსისა და სიმძიმის გათვალისწინებით, ამ დანაშაულის ჩამდენი პირი არ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

„სწორედ ამ პრინციპს ემყარება მიდგომა, რომლის თანახმადაც ამნისტია არ გავრცელდება განზრახ მკვლელობაზე (მუხლი 108), განზრახ მკვლელობაზე დამამძიმებელ გარემოებაში (მუხლი 109), არასრულწლოვნის წინააღმდეგ ჩადენილ სქესობრივ დანაშაულებზე (137-141, 253-2552 მუხლები), წამებაზე (მუხლი 1441), წამების მუქარაზე (მუხლი 1442), დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობაზე (მუხლი 1443), ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულებზე (323-ე-3312 მუხლები), კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე (404-ე-413-ე მუხლები)“, — ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში. ამასთან, კანონპროექტის მიღების შედეგად, პირები, რომლებმაც განსაზღვრული დანაშაული ჩაიდინეს, გათავისუფლდებიან როგორც ძირითადი ისე დამატებითი სასჯელისაგან, ასევე პირობითი მსჯავრისა და გამოსაცდელი ვადისაგან.

„აღსანიშნავია, რომ სასჯელისაგან გათავისუფლება ეხება მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირებს. რაც შეეხება უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირებს დაკმაყოფილებულად ჩაეთვლება 721 მუხლის პირველი ნაწილით ან იმავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის ნაწილის მოხდის მოთხოვნა და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოებს შესაძლებლობა ექნებათ განიხილონ მათი პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხი. კანონით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება როგორც დამთავრებულ დანაშაულებზე, ისე მის მომზადებაზე და მცდელობაზე. გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტის მე-5 მუხლში მითითებულ დანაშაულებზე ამნისტია არ გავრცელდება, მიუხედავად მათი ჩადენის სტადიისა (მომზადება, მცდელობა ან დამთავრებული დანაშაული). გამონაკლისს წარმოადგენს 108-ე და 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები, რომელთა მომზადებაზეც და მცდელობაზეც ასევე საერთო წესით გავრცელდება ამნისტია“, — აღნიშნულია დოკუმენტში. კანონპროექტის მიხედვით, პირი, რომლის მიმართაც ამნისტია ვრცელდება, ასევე ჩაითვლება ნასამართლობის არმქონედ.

„მსჯავრდებულისთვის კანონპროექტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმა, რომელიც კანონის ამოქმედების მომენტისთვის აღსრულებული იქნება, პირს უკან არ დაუბრუნდება. კანონპროექტის მიხედვით, 2004 წლის 1 იანვრამდე ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენ პირს, რომლებსაც კანონის ამოქმედების მომენტისთვის მოხდილი ექნებათ სასჯელი, აღუდგებათ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები (იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლების გარდა). ასეთ პირებს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება აღუდგებათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის — დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით, თუ პირი წარადგენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობას, რომლითაც დასტურდება, რომ პირი არ არის ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი.

კანონპროექტით განსაზღვრულია ამნისტიის აღსრულების პროცედურები“, — ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

ზურაბ აბაშიძე: დააკვირდით, რა ხდება მსოფლიოში, რაღა დროს 2014 წლის ამბებია!

რეგიონში ახალი სამხედრო აგრესიის მოლოდინისა და კრემლის მიერ დასავლეთისთვის წაყენებული ულტიმატუმის ფონზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენლის ამასწინანდელ განცხადებას — „რუსეთთან არაფორმალური დიალოგის ფორმატმა ხელი შეუწყო ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმების გაფორმებასა და უვიზო მიმოსვლასაც კიო“ — საზოგადოების ნაწილის მკვეთრად კრიტიკული რეაქცია მოჰყვა. კრიტიკოსები შიშობენ, რომ ამგვარმა რიტორიკამ შესაძლოა, საზოგადოებაში გააღრმაოს სკეფსისი საქართველოს ნატოს წევრობის პერსპექტივის კონტექსტში, მეორე მხრივ, მსგავსი მიდგომით ოფიციალური თბილისი რუსეთს ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსთან მიმართებით ფაქტობრივად ვეტოს უფლებას აძლევს. აქვს თუ არა საფუძველი შეშფოთებას? რატომ ჩათვალა მმართველმა გუნდმა რუსეთის დარწმუნება საჭიროდ? როგორ მოხერხდა დარწმუნება და რა მოხდებოდა ვერდარწმუნების შემთხვევაში? იგივე მეთოდი გამოიყენა თუ არა თბილისმა უკვე ნატოს კონტექსტში? — ამ საგულისხმო კითხვებით „აქცენტმა“ საქართველოს პრემიერის სპეცწარმომადგენელს რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში **ზურაბ აბაშიძეს** მიმართა.

— ეს მხოლოდ ჩემი აზრი არაა, ეს აზრია ჩვენი ევროპელი და დასავლელი კოლეგების. ჯერ კიდევ 2014 წლიდან მოყოლებული ამას ვამბობთ. როდესაც ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებას ვაწერდით ხელს, მაშინ გაჩნდა კითხვა, ევროკავშირთან ჩვენი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი როგორ იმოქმედებდა ჩვენს სავაჭრო ურთიერთობებზე რუსეთთან? სწორედ ამაზეა საუბარი. მაშინ ჩავატარეთ კონსულტაციები, მოიხსნა კითხვები და ამას მაშინ ყველამ ნორმალურად შეხედა (ჩვენი დასავლელი პარტნიორები მყავს მხედველობაში). ამდენად, ახალი არაფერი თქმულა.

— „თუ კითხვები კვლავ დარჩებოდათ რუსებს, აღარ მოხდებოდა ასოციირების შეთანხმების გაფორმება? — ამ ფორმულირებით ისმება შეკითხვა...

— მაშინ შესაძლოა, პრობლემები გასჩენოდა ჩვენს სავაჭრო ურთიერთობებს მეზობელ ქვეყნებთან. დიახ, ასეთი ალბათობა იყო.

— და არა ასოციირების შეთანხმებას?

— არა. ასოციირების შეთანხმებას ჩვენ ვნახეთ უკრაინის შემთხვევაში რა სირთულეები შეექმნა.

— როგორ მოხდა დარწმუნება?

— კონსულტაციები ჩავატარეთ: ჩვენი ექსპერტები შეხვდნენ რუს ექსპერტებს. იყო კითხვები — თუკი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი შეიქმნებოდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის, შეიძლებოდა, საქართველოს გავლით რუსეთის ბაზარზე მოხვედრილიყო სხვადასხვა პროდუქცია, რაც მათ ინტერესებში არ არის. კითხვები მოიხსნა და არც არანაირი გართულება არ მოჰყოლია. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. ეს მე მოვიყვანე როგორც ჩვენი დასავლელი პარტნიორების აზრი.

— პარტნიორებისგან მსგავსი ფორმულირება არ მოგვისმენია და მსგავსი პოზიცია დახურულ კარს მიღმა კონსულტაციების დროს გამოითქმებოდა?

— გვეუბნებოდნენ. მაშინ ამაზე ბევრს ვსაუბრობდით, რომ საქართველომ ყველანაირად სწორი ნაბიჯები გადადგა იმისათვის, რომ უმტკივნეულოდ გაეარა ეს პროცესი. ჩვენ ყოველ მსგავს ნაბიჯებს გავდივართ დასავლელ პარტნიორებთან, მუდმივი კონსულტაციების რეჟიმი გვაქვს. მაშინაც ასე იყო, ახლაც ასეა. ამდენად, ახალი არაფერია ამაში.

— გამოითქვა შიშები, რომ მსგავსმა განცხადებებმა შესაძლოა, საზოგადოების სკეფსისი გააღრმაოს უკვე ნატოს კონტექსტში...

— ეს „თითიდან გამოწოვილია“. ვიმეორებ, 2014 წლიდან ამას ვლაპარაკობთ.

— ნატოს კონტექსტში ანალოგიური კონსულტაციების მცდელობა იყო?

— ნატოსთან დაკავშირებით ჩვენ რუსებთან კონსულტაციები არ გვქონია და არც ვაპირებთ. დააკვირდით, რა ხდება ჩვენ ირგვლივ, რეგიონში, მსოფლიოში. რაღა დროს 2014 წლის ამბებია?!

— თქვენმა განცხადებამ აქტუალობა ამჟამინდელი მოვლენების — რუსეთის აგრესიის და ულტიმატუმების კონტექსტშიც შეიძინა...

— მოკლედ, ეს თემა სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების კონტექსტში იყო განხილული.

— დაბოლოს, როდესაც ბრძანეთ, „ვიზალიბერალიზაციასაც კი შეუწყო ხელიო“, აქ რუსეთი რა შუაში იყო?

— არა, მე ასოცირების შეთანხმება მქონდა მხედველობაში.

„აქცენტი“

იშიმშილონ და... იყონ!

ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს: არა ერთი და ორი, არა ორი და სამი, არამედ რამდენიმე ათეული ადამიანი (ყოველ შემთხვევაში, ამას მასობრივი შიმშილობა დაარქვეს) შიმშილობს (ისიც გასარკვევია, რამდენად შიმშილობენ) პრეზიდენტყოფილი მიხეილ სააკაშვილის ციხიდან განთავისუფლების მოთხოვნით!

ახლა იმაზე საუბარი, ეს ადამიანები ამ გმირული „თავგანწირვის“ სანაცვლოდ გარკვეულ „საჩუქარს“ იღებენ თუ არა, სერიოზული არ იქნება!

უფრო არსებითი იმის გარკვევაა, რას აპროტესტებენ ისინი და რამდენად საფუძვლიანია მათი პროტესტი?!

იმის თქმა, რომ პრეზიდენტყოფილი სააკაშვილი უდანაშაულოდ ზის ციხეში, მართებული არ იქნება — პირიქით, მას იმდენად მსუბუქი ბრალდება აქვს წაყენებული, სასაცილოდაც კი გამოიყურება იმ ფონზე, რა სისტემური დანაშაული აქვს ჩადენილი მის მიერ შექმნილ და მისივე დირიჟორობით მოქმედ „ნაციონალურ“ რეჟიმს!

თუმცა, ეს იმდენად სააკაშვილის პრობლემა (ბრალი) არ არის, რამდენადაც დღევანდელი ხელისუფლების, რომელმაც იმაზე მეტი ვერ გაბედა, რაც გაბედა!

„ნაცმოძრაობის“ ლიდერების მუდმივი (ავადმყოფური) აპელირება იმაზე, რომ მას პენიტენციურ დაწესებულებაში ცუდად ექცევიან, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია — პირიქით, ის და მისი დამქაშები, თვითონ კარნახობენ ხელისუფლებას: რა გააკეთოს, სად გადაიყვანოს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ექსპრეზიდენტთან ვიზიტი სამკურნალო დაწესებულებაშიც შეზღუდული არ არის, გამოდის, რომ სააკაშვილი იდეალურ პირობებში იმყოფება.

ეგეც არაფერი, მასობრივი შიმშილობა სააკაშვილის ციხიდან განთავისუფლების მოთხოვნით, მიმდინარეობს საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მიერ გაცხადებული შერიგების ინიციატივის ფონზე.

ეს ე.წ. მასობრივი შიმშილობა კი სხვა არაფერია, თუ არა, ულტიმატუმი: პრეზიდენტის ინიციატივის (რომელიც თავს მოახვიეს გარედან) ჩიხში შეყვანის, ან, პრეზიდენტზე ზეწოლის მცდელობა — უაპელაციოდ შეინწყალოს მსჯავრდებული ექსპრეზიდენტი სააკაშვილი.

ორივე შემთხვევაში ავანტიურასთან გვაქვს საქმე, თუ შერიგება გინდა, ულტიმატუმი რა შუაშია, ხოლო, თუ ზეწოლა და ამით იძულებითი გადაწყვეტილების მიღება გსურს, ეს ქვეყანა მართლაც ჩალითაა გადახურული და ხალხს არაფერს ეკითხებიან?!

სიტყვამ მოიტანა და ვინ ეკითხება ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, ასეთი ინიციატივით გამოვიდეს ხალხის სახელით ხალხთან შეუთანხმებლად?!

ვისთან უნდა შერიგდეს „ნაცმოძრაობა“ — „ქართულ ოცნებასთან“ თუ საქართველოს მოსახლეობასთან, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა დანაშაულებრივი რეჟიმის სიმძიმე მთელი ცხრა წლის განმავლობაში?!

ბუნებით ჰუმანისტი ვარ და ამდენად, არ ვარ ზოგადად შერიგების წინააღმდეგი, მაგრამ, როგორ უნდა შეურიგდე პრეზიდენტყოფილს, ან მის სახელთან ასოცირებულ დანაშაულებრივ პოლიტიკურ რეჟიმს, როცა ისინი საკუთარ დანაშაულს არ აღიარებენ, სინანულის ელემენტარული განცდა არ გააჩნიათ და შერიგების საფარქვეშ კიდევ აქეთ იმუქრებიან?!

მე მგონი, ასეთ ვითარებაში შერიგებაზე საუბრის გაგრძელება საზოგადოებისთვის სულში ჩაფურთხების ტოლფასია!

* * *

რაც შეეხება „ნაციონალების“ სათაო ოფისში სააბალწლოდ გაშლილ კარვებს და ე.წ. მასობრივ შიმშილობას, არაფერი კატასტროფული ამაში არ არის — მსოფლიოში ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი შიმშილით იხოცება, ხოლო ათეულობით მილიონი ადამიანი არასრულფასოვანი კვებისა და სხვა აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობის გამო, ფიზიკურად იფიტება.

ამ ფონზე „ნაციონალების“ მიერ დაწყებული შოუ-პერფორმანსი, პირადად მე (და ალბათ იგივე აზრზეა საზოგადოების უმრავლესობა) ნაკლებად მადარდებს — იშიმშილონ, სანამ მათი კუჭი ამას გაუძლებს და იყონ!

P. S. დღეს სამყაროში და, ბუნებრივია, საქართველოშიც, გაცილებით დიდი პრობლემებია, ვიდრე, სააკაშვილის ციხიდან განთავისუფლება, ან „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნება — ხალხი ამ ვერაგი ვირუსის სახელით ყოველდღე გვეცლება ხელიდან და რეალური საშიშროებაა, სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდეს!

ამ კატასტროფულ მოცემულობაში მართლაც მავნებელი და საკუთარი ხალხის გამოუსწორებელი მტერი უნდა იყო, ისევ სიტუაციის არევაზე და მორალური ფონის დამძიმებაზე იფიქრო!

როგორც ჩანს, „ნაციონალების“ და მათ მიერ დავერბოვკებული სექტის გამოსწორება არ იქნება!!!

ზაურ ნაჭყებია,
პუბლიცისტი

ოპოზიციური საკრებულოები სამეგრელოში

2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ჩატარებულ არჩევნებს შორის შეიძლება ითქვას, რომ გამონაკლისი იყო, რადგანაც ბევრგან ვერცერთმა პარტიამ უმრავლესობა ვერ მოიპოვა!

დღემდე პარალიზებულია საკრებულოების ფუნქციონირება. ვერ შედგა შეთანხმება პარტიებს შორის, თურმე არც ისე ადვილი ყოფილა ე.წ. კოალიციის შექმნა, რომელზეც ხშირად აკეთებენ აქცენტებს ოპოზიციური პარტიები.

მთავარი საკითხი, რაზეც ვერ თანხმდებიან, პარტიები საკრებულოების თავჯდომარეების არჩევაა, ამიტომაც ზუგდიდში, წალენჯიხაში და კიდევ სხვა მუნიციპალიტეტებში საკრებულოს სხდომები ოთხჯერ გადაიდო და მომდევნო სხდომები მომავალი წლის იანვარში ჩატარდება! ეს პროცესი ასე შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს და სულ გადაიდოს, რადგან თურმე კანონით არაა განსაზღვრული, თუ როგორ უნდა დასრულდეს ეს ბაკქანალია!

აუცილებელია პარლამენტმა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და ზუგდიდში და მის მსგავს მუნიციპალიტეტებში უნდა ჩატარდეს ხელახალი არჩევნები. მოგვცემს თუ არა ეს არჩევნები რაიმე შედეგს, ჯერჯერობით გაურკვეველია, თუმცა, დიდი ალბათობით, ხელახალ არჩევნებში არსებული ვითარებიდან გამომდინარე „ნაციონალური მოძრაობა“ ზუგდიდის საკრებულოში იმდენ მანდატს ვერ მოიპოვებს, რაც ამჟამად აქვს. ზუგდიდის 45-წევრიან საკრებულოში უმრავლესობა — 23 ხმა ვერც ერთმა პარტიამ ვერ მოიპოვა, 20 — „ქართული ოცნება“, 22 — „ნაციონალური მოძრაობა“, 3 — „გახარია საქართველოსთვის“... ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის მხარეს გადაიხრებიან გახარიას პარტიის წევრები, მაგრამ ისინი არც ერთ პარტიის მხარდაჭერას არ აპირებენ და საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურა ოფიციალურად მხოლოდ მათ წარმოადგინეს. „ქართულ ოცნებას“ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო „ნაციონალური მოძრაობა“ სხდომებს არ ესწრება. ჩხოროწყუსგან განსხვავებით არც „ოცნება“ და არც „ნაცები“ გახარიას პარტიის შემოთავაზებებს, რომ მათ კანდიდატს დაუჭირონ მხარი, არ ემხრობიან, რადგან მათი განცხადებით არასწორია, როცა უმრავლესობა უმცირესობის მხარეზე იდგეს. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მომავალ წელს ჩატარდება ხელახალი არჩევნები, რაც ალბათ ყველაზე მომგებიანი „ქართული ოცნებისთვის“ იქნება.

ლადო ქირია,
ზუგდიდი



ᲓᲘᲚᲐᲠ ᲘᲕᲐᲠᲓᲐᲕᲐ

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲖᲔᲡ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲕᲖᲝᲛᲐᲕ!

რაც შენ ღალატის
კეცზე ითრთოლე –
ვერა და ვერა,
ვერ მიგატოვე,
აწ რომ იწვიმებს,
იჭექ-ითოვლებს,
გადავიტანო უნდა მარტო მე!
ეკალ-ბარდების მსუსხავ დარდებში
ვარ გახლართული, როგორც მავთული,
არ დაგვრჩენია თურმე თავმდები,
რომ ყოფილიყო ჩვენი დათქმული!
ურიალებს უამი უანგმოდებული,
ულერანი მისი ჩამესმის მძაფრად,
ღრუბლების რიდე დღესაც ეგურვის,
ოდეს გასაფრენ ნავების აფრას.
არ აცდენილა ეგ გული ნაპრალს,
როს ხმიანობდა წინაპრის არფა, –
იმ უსათუოეს ჭაბუკურ ნატვრას
შენი წუხილი ღალატად აკრავს!

* * *

უცოდველ ფიფქთა უღიმღამობა,
იანვრის ტოტზე თეთრად გალობდა,
ღვთიდან მოვლენილ ასეთ წყალობას
ფერი შეერწყა თრთოლვის წყაროდან.
ფანტელთა ცვენის კორიანტელით
მიბნედილ იყო მთვარის ნათელი,
შარავანდს ფენდა დღის ჟრუანტელი,
მინავლებული ტრფობის სახელით.
მე მაშინ შენი აჩრდილი მერქვა,
შენ იყავ ჩემი სახატე მექა,
იმ სიცხადეში რა უნდა მეთქვა,
როცა ამხელდა მას გულის ფეთქვა!
დღეს, ფრთამოტეხილს იმ წლების
მიღმა –
სამხელს რომ ვიტყვი
ცხადზე – ცხადია,
საუბედურად კვლავ ირგებ ნიღაბს,
და მას იმ დროის დიდი ზადი აქვს!
„მერე რა მოხდას“
ნუღა თამაშობ,
ხარ შეცდომებით შემოგარსული, –
ახლა მაინც თქვი, თუ რამედ ფასობს
უსულგულობა კოჭლი წარსულის!

* * *

ქაოსის წიაღ, რაც ჩვენ ვიარეთ,
ჟამიც დამდგარა ბერხენ არჩვების,
ჰო, ბევრ რაემეში დავაგვიანეთ,
გადაცრეცილა წლების სარჩევიც.
მივედ-მოვედეთ ყოველგვარ
წვრილმანს, –
არ დაგვკლებია თოვლი და წვიმა,
სანთელს ვუნთებდით ერთმანეთს წინათ,
დღეს კი
სიყვარულს უაზროდ ვწირავთ!
არ მახსენდება შენგან მუნათი,
ასე მოვსულვართ დასასრულამდი,
ჩვენთა წინაპრის ყოფის სურათი
იყო მკაფიო ხატი სულმნათი!
დღეს გაცვეთილა ხანჯლის ხეტარი
ამდენი ურცხვი დევების რქენით,
როდის იქნება,
როდის, ნეტავი
აღარ ვწამლავდეთ ერთმანეთს ენით!

* * *

ლექსებით სავსე
იმ ჩარგლურ ხურჯინს
აცისკროვნებდა მხატვართა ფუნჯიც,
გულანთებული სულმუდამ ნუ სჯი,
არ უნდა გაჩნდეს პოეტი მუნჯი.
სიჩუმე უყვარს გაჩენას ლექსის,
არსთაგამრიგის ბადებს ალერსი,
საიდან მოდის მართლა არ გესმის
მეტაფორები ურუოლით ნალესი!
შეხედავ ვაჟას
ან გალაკტიონს –
მოუსენ ტატოს,
ევერესტ შოთას,
ამდენი ვნება ვით დაიტიეს,
უწინდელივით ყველა რომ შფოთავს?!
– ვიცი, ვიცი! – არავინ არ თქვას,
მათ ხომ მისხალი არ დაჰკლებიათ,
დიდება ქართველ პოეტთა ამქარს! –
პოეტები ხომ არა კვდებიან!..

* * *

ის დაბადებით იყო ცბიერი,
უცხოა მისთვის გრძნობის ნათება,
არა ჰქონია ხსნა წამიერი,
ახია ახლა, რაც ემართება!
არასდროს ჰქონდა სანდოს სახელი,
მუდამ მტარვალთა ჯგროში ერია,
სხვათა მკილავი და დამძრახველი –
გაიძახოდა „მრავალჟამიერს“!
ჟამი კი არის ყველას მსაჯული,
ის ერთია და როდი ორდება –
დაიბადება კაცი ამ რჯულის,
მოკვდება, მაგრამ არ გასწორდება!

* * *

დრო-ჟამს მივყევარ მუდამ გასაკვირს,
მანაც არ იცის თავის ასაკი!
არც ჰიროსიმა,
არც ნაგასაკი
არ განიხილავს ახლა ამ საკითხს!
ან ვინ გაამხელს
ბოლოს და საწყისს?
თავის საქმე აქვს
ქილერს თუ სადისტს –
ვისაც სამყაროს დაქცევა სწადის –
ის კოსმიური სივრციდან გადის!

...მინდა თუ არა
მივყვები დრო-ჟამს,
ის ხვალის დღეთა
სიჩუმით მმოძღვრავს!

* * *

თრთის სანთელი
და ღვრის ცრემლებს,
თქვი სათქმელი! –
შემოგევლე!

საცეცხლურებს
ორთქლი ასდის –
შენც სიყვარულს
უერთგულე!–
კიდევ ას გზის,
კიდევ ას გზის!

* * *

მედეასი წლოვანების
კოლხეთის მზეს
გულით ვზომავ, –
სიყვარული თავის ნებით
უსათუოდ ისევ მოვა!
ცისარტყელის შვიდი ფერი
აფერადებს მთებს და ველებს,
უარვყავი ლუციფერი,
შენ გელოდი, შემოგევლე!
საქაოსო ბინდში ვწევარ,
ვითვლი კოლხურ ოქროს ზოდებს,
შემეფეთე ბედისწერად –
მხოლოდ შენზე სევდა მქონდეს!

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲡᲐᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲝ ᲛᲝᲜᲔᲢᲔᲑᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ შეიქმნა პლატფორმა „ტვიფრი“, რომელიც ქართული წარმოების სამახსოვრო მედლებს შექმნის. შემოქმედებითი ჯგუფის მიზანია, რომ მედლებით საქართველოს ისტორია გააცოცხლოს. პროექტის პირველი მედალი საქართველოს კონსტიტუციის 100 წლისთავს მიეძღვნა.

საკოლექციო და საიუბილეო მედლებს მხატვრები, ილუსტრატორები, კალიგრაფები და გრაფიკული დიზაინერები ერთობლივად ქმნიან. „ტვიფრის“ შემოქმედებითი დირექტორი ივა ჯანეზაშვილია, გრაფიკული დიზაინერი, რომელიც 8 წელია ავსტრიაში ცხოვრობს და ერთ-ერთი საერთაშორისო კომპანიის გრაფიკული დიზაინერია. პარალელურად, 2021 წლიდან, ლიეტუვის ზარაფხანაში მუშაობს გრაფიკულ დიზაინერად. დიზაინის გარდა, ის ზარაფხანაში ნუმიზმატურ პროექტებს ქმნის, აქაც ქართულ თემას იყენებს – ახალი ზელანდიის 1 დოლარიანის ავერსზე „თინათინის გამეფების“ სცენა, 2 დოლარიანზე კი – „მედეა და ოქროს საწმისი“ გამოსახა.

„არ აქვს მნიშვნელობა რომელი ქვეყნის პატრონაჟით განხორციელდება, თემატიკა ყველა ჯერზე იქნება ქართულ მოტივებზე აგებული“, – ამბობს ის.

გრაფიკული დიზაინერის თქმით, მისი მიზანია ქართველი ხელოვანების პოპულარიზაცია ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ. პოპულარიზაციას კი ისიც უწყობს ხელს, რომ ყველა მონეტას თავისი აღწერილობა მოჰყვება.

„XII საუკუნის ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის ეროვნული ეპიკური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად ითვლება. მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ამ პოემის ასლი ყოველი ქართველი პატარძლის მზითვად იყო. ამ ლიტერატურული შედევრით შთაგონებულმა ლიეტუვის ზარაფხანამ შექმნა მონეტების შთამბეჭდავი სერია პოემის სახელით. სერიის პირველი მონეტა, „თინათინის კორონაცია“, ასახავს ცნობილი პოემის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს – თინათინის კორონაციის ეპიზოდს“, – ვკითხულობთ ზარაფხანის „ვეფხისტყაოსნის“ სერიაზე.

ლიეტუვაში იჭრება მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მონეტა, მათ შორის, ევროს ცენტები. შესაბამისად, ინტერესი დიდია მათი საკოლექციო მონეტების მიმართაც. სანამ დიზაინების შექმნას დაიწყებდა, ივა მხოლოდ მონეტების კოლექციებს აგროვებდა. ახლა კი ასობით მონეტას შორის თავისი ნამუშევარიც აქვს. ივას თქმით, მედლის მიმართ დაინტერესება დიდია, რადგან აქამდე არ არსებობდა მწარმოებელი კომპანია, რომელიც სისტემატურად შექმნიდა საკოლექციო მედლებსა და მონეტებს. ონლაინ გაყიდვებიდან რამდენიმე დღეში 500 მედლის ტირაჟის ნახევარი დარჩა.

ავტორებმა მედლის **ავერსზე გამოსახეს მებრძოლი ქალი, აღწერაში განმარტებულია, რომ ქალის გამოსახულება** ისტორიული მნიშვნელობის იდეოლოგიის მატარებელია – დაწყებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიდან, დამთავრებული პირველი კონსტიტუციით, რომელშიც ქალთა უფლებები და თანასწორობა დაცული იყო. მედლის **რევერსის** მთავარი კომპოზიცია კი „მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეა“, სადაც შეიმუშავეს და დაამტკიცეს პირველი კონსტიტუცია. „ტვიფრის“ შესრულებული ვერცხლით დაფარული თითბერის მონეტები იანვარში საქართველოში იქნება. 2022 წელს კი ლიეტუვის ზარაფხანა გამოუშვებს რამდენიმე ახალ მონეტას, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ და „ოქროს საწმისის“ თემა გაგრძელდება.

ᲐᲜᲘ ᲑᲣᲠᲓᲣᲚᲘ,
„ᲠᲐᲓᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ“



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲓᲐᲜ 100 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

„ᲡᲐᲑᲐᲡ“ ᲠᲩᲔᲣᲚᲜᲘ

ᲡᲐᲑᲐᲡ ᲛᲔ-19 ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ �პᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ 10 ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲐ:

საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი – ნანა აბულაძე „აკუმი“; **ირინა ტაბაღუა** „ტელეფას ცხვარი“;

საუკეთესო პიესა – პაატა ციკოლიას „მედეა s01e06“;

საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა - ნინო დიანოსაშვილის „შეშლილი სიშმაგე თუ შმაგი შეშლილობა?! ლისამანია ევრიპიდეს ტრაგედიებში: „ბაკქი ქალები“, „ჰერაკლე“, „ორესტესი“; **ნანა ტრაპაიძის** „ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ“;

საუკეთესო თარგმანი - გიორგი ლობჟანიძის თარგმანი „ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევი (წიგნი პირველი)“; **ანა კოპალიანის** თარგმანი ტომას სტერნზ ელიოტის „მოხუცი ოპოსუმის წიგნი პრაქტიკული კატების შესახებ“;

საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა – მარიამ ხუცურაულის „მარილი გემოვნებით“;

საუკეთესო პროზაული კრებული – გიორგი სოსიაშვილის „ოთხი მოთხრობა“;

საუკეთესო პოეტური კრებული – ნუგზარ ზაზანაშვილის „წავა წავა წავა წავა“;

საუკეთესო რომანი – თამთა მელაშვილის „შაშვი შაშვი მაყვალი“;

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიის რეფლექსია ქართულ ლიტერატურაში – ივა ფეზუაშვილის „ბუნკერი“; **ბიძინა მაყაშვილის** „მხიარული მუსიკა სევდიან ეპოქაში ანუ ბლუზი მტკვრის პირას“;

ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის - პოეტი და მთარგმნელი **გივი შაჰნაზარი.**

◎ რჩეულნი

ღირსეულთა აღიარება

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მიმავალი სეზონი შეაჯამა და წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტული ერთდროულად ლაშა ტალახაძეს და ლაშა ბექაურს მიანიჭა.

ძალოსანთა ნაკრების წევრმა ლაშა ტალახაძემ (+109) 2021 წელს ოლიმპიადა, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატები მოიგო. ამავდროულად, ლაშამ მოსკოვში ორი რეკორდი დაამყარა (ატაცი – 222, ჯამური – 485), ოლიმპიადაზე სამი (ატაცი – 223, აკვრა – 265, ჯამური – 488), ხოლო ერთი კვირის წინ ტაშკენტში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე რეკორდები გააუმჯობესა (ატაცი – 225, აკვრა – 267, ჯამური – 492). ასევე უნდა ითქვას, რომ წლის საუკეთესო ფედერაციის ტიტული **ძალოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ** მოიპოვა.

90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ძიუდოისტმა ლაშა ბექაურმა ტოკიოს ოლიმპიადაზე ტრავმის მიუხედავად ყველა შეხვედრა მოიგო და იაპონიაში საქართველოს ჰიმნი აააღერა. საუკეთესო მწვრთნელად კი ძიუდოისტთა ნაკრების დამრიგებელი **ლაშა გუჯეჯიანი** დაასახელეს. გუჯეჯიანის გაწვრთნილი გუნდიდან ტოკიოს ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი ვაჟა მარგველაშვილმა (-66კგ), ლაშა შავდათუაშვილმა (-73) და გურამ თუშიშვილმა (+100) დაიმსახურეს, საუკეთესო ქალი სპორტსმენი კი ასევე ძიუდოისტი **ეთერ ლიპარტელიანი** გახდა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სხვა ნომინაციებში გამარჯვებულთა ვინაობა შემდეგნაირად გამოიყურება:

წლის აღმოჩენა ვაჟებში („ოლიმპიური იმედი“) – **ლერი აბულაძე** (ჭიდაობა);

წლის აღმოჩენა ქალებში („ოლიმპიური იმედი“) – **მარიამ ქერდიკაშვილი** (კანოე);

საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი სათამაშო სახეობებში – **გიორგი მაგრაქველიძე** (წყალბურთი);

საუკეთესო სპორტსმენი ზამთრის სახეობებში – **მორის ყვითელაშვილი** (ფიგურული ციგურაობა);

გაუწყებთ აგრეთვე, რომ ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (IWF) პარიზის 2024 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის წონითი კატეგორიები შეამცირა. ცვლილების თანახმად, ფრანგულ ფიცარნაგზე ხუთ-ხუთი წონით იქნებიან წარმოდგენილი ქალები და კაცები.

კაცებში მედლების ხუთი კომპლექტი გათამაშდება 61, 73, 89, 102 და +102 კილოგრამ წონით კატეგორიებში, ხოლო ქალთა ასპარეზობებისთვის განისაზღვრა 49, 59, 71, 81 და +81 კილოგრამი წონითი კატეგორიები.

აღსანიშნავია, რომ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე მედლები შვიდ წონით კატეგორიაში გაითამაშეს როგორც კაცებმა, ისე ქალებმა.

წონით კატეგორიებში შეტანილი ცვლილებები თავისთავად გავლენას იქონიებს რეკორდებზეც. აქედან გამომდინარე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, მსოფლიოს ხუთგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონის **ლაშა ტალახაძის** მიერ +109 კილოგრამ წონით კატეგორიაში დამყარებული ოლიმპიური რეკორდები ისტორიის კუთვნილება გახდება.

◎ ფალავნობა



ბულა(ძე)მ თუ აიწყვიტა...

არა აქვს მნიშვნელობა, ნახერხმოყრილ სარბიელზე იმართება თუ დახურულ კომპლექსში – საჩხერელი ონისე ბულაძე ყველგან დიდი სიამოვნებით ჭიდაობს საქართველოს აბსოლუტური ფალავნის წოდების მოსაპოვებლად და წარმატებებსაც აღწევს.

ასე მოხდა ამ დღეებში გორის სპორტის სასახლეშიც, სადაც ორგზის ვიცე-ფალავანმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა უმაღლესი ტიტული. როგორც ყოველთვის, საინტერესო ტურნირში ძიუდოსა და სამბოს სახელოვანი ოსტატები, მათ შორის ოლიმპიური თამაშების პრიზიორებიც მონაწილეობდნენ, პირველ ეტაპზე კი, რეგლამენტის მიხედვით, უძლიერესნი ოთხ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ.

◎ ტრადიცია

ლიდერობას ინარჩუნებენ

კოვიდპანდემიის მიუხედავად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთი წუთითაც არ შეჩერებულა აქტიური სპორტული ცხოვრება. მეტიც, მედიკოსთა სამჭედლო, ტრადიციისამებრ, ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებს შორის ლიდერობას ინარჩუნებს როგორც ღონისძიებათა სიმრავლით, ისე, რაც მთავარია, მათი ორგანიზების მაღალი დონით.

საილუსტრაციოდ მიმავალი სეზონის დამაგვირგვინებელი ასპარეზობის დასახელებაც კმარა, რომელიც სტუდენტთა 10 გუნდის მონაწილეობით გაიმართა და სახელოვან ფეხბურთელთა – **ალექსანდრე ჩივაძის, გელა კეტაშვილისა** და **ვახტანგ ქორიძის** სახელობისა გახლდათ.

ტურნირი დაამშვენა ფინალურ შეხვედრაზე საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, დედაქალაქის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის **ავთანდილ კოკაიას** მოწვევამ.

ახლა კი გადამწყვეტი ბრძოლების შედეგებსა და ლაურეატთა ვინაობას გაეცანით.

მატჩი მესამე ადგილისთვის: ინდოეთის ნაკრები – „ფარმაცია“ (I კურსი) 6:1.

ფინალი: „პირველი მერცხალი“ (შარშანდელი ჩემპიონი) – „ელიტა“ 2:2. პენალტებით – 7:6.

საუკეთესო ფეხბურთელი – მირიან ჯაფიაშვილი; ყველაზე **აგრესიული მოთამაშე** – მერაბ საძაგლიშვილი, **ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი** – დავით სულხანიშვილი, **საუკეთესო მცველი** – ადიტ სურეში, **საუკეთესო მეკარე** – ლევან გობეჯიშვილი, **ულამაზესი გოლის ავტორი** და **საუკეთესო ბომბარდირი** – გოგი ლობჟანიძე – 10 გოლი.

დაბოლოს, მადლიერების სტრიქონებითა და საუკეთესო საახალწლო სურვილებით გვსურს მოვიხსენიოთ აღნიშნული ტურნირის სულისჩამდგმელნი: თსსუ-ს რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია,** კანცლერი, პროფესორი **ზურაბ ორჯონიკიძე,** სპორტის ცენტრის ხელმძღვანელი **ზაურ ფხალაძე,** ამავე ცენტრის თანამშრომელი, თსსუ-ს ნაკრები გუნდის მწვრთნელი, დასახელებული ტურნირის მთავარი მსაჯი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე **ვახტანგ ბაქანიძე,** კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ურთიერთობის სამსახურის უფროსი **მიხეილ დიაკონიძე,** თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **ლადო გაბეჩავა** და მისი გუნდის წევრები **მარიამ მერაბიშვილი, თორნიკე ფუტკარაძე, ზაზა გაბაძე, გუკა სოფრომაძე, ციცი პაპუნაშვილი** და **სოფო სეხნიაშვილი.**

პანდემიის შედეგად

როგორც მოსალოდნელი იყო, 2022 წლის პეკინის ზამთრის ოლიმპიადა ჰოკეის ეროვნული ლიგის (ნჰლ) ვარსკვლავთა გარეშე ჩაივლის.

ასეთი გადაწყვეტილება საფიქრებელი იყო მას შემდეგ, რაც რეგულარული სეზონი შობამდე შეწყვიტეს ინფექციის გავრცელების სწრაფი ტემპებისა და გუნდებში კორონავირუსის ახალი შტამის ხშირი შემთხვევების გამო. ჩინეთში მოთამაშეთა გაშვებისგან თავის შეკავება ლიგისა და მოთამაშეთა პროფკავშირის ერთობლივი ვერდიქტია. რაც შეეხება ნჰლ-ის შეხვედრების განახლებას, საამისოდ შემდეგი პროცედურაა გასავლელი: ჰოკეისტები დღეს დაბრუნდებიან კლუბებში და გაივლიან შესაბამის ტესტირებას, მისი უარყოფითი პასუხის მიღებამდე კი საწვრთნელ ბაზაზე სავარჯიშოდ არავის შეუშვებენ.

საფეხბურთო ამოზაიკა

კორონავირუსის პანდემიის გამო გადადებული აფრიკის ერთა თასის გათამაშება ერთწლიანი დაგვიანებით კამერუნის სტადიონებზე 9 იანვრიდან 6 თებერვლამდე გაიმართება.

ეპიდემიოლოგიური ვითარებითა და საორგანიზაციო სირთულეებით გამოწვეული კიდევ ერთი გადადება „შავი კონტინენტის“ კონფედერაციის პრეზიდენტმა პატრის მოტსეპემ ტურნირის მასპინძელი ქვეყნის თავკაც პოლ ბიიასთან შეხვედრის შემდეგ გამორიცხა.

* * *

ტრადიციისამებრ, სეზონის ფინიშზე ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გაასაჯაროვა 2021 წლის ევროპის სიმბოლური ნაკრები. ბუნებრივია, გუნდში მხოლოდ ძველი სამყაროს წარმომადგენლები მოხვდნენ:

მეკარე – დონარუმა. **მცველები** – კიელინი, ბონუჩი, დიაში, ასპილიკუეტა. **ნახევარმცველები** – კანტე, დე ბრუინი, ჟორჟინიო. **თავდამსხმელები** – მბაპე, ლევანდოვსკი, რონალდუ. **სათადარიგოები** – ნოიერი, კანსელო, ჰალანდი, რიუდიგერი, ბენზემა, ფერნანდეში, მიულერი. მწვრთნელი – ტუხელი.

* * *

ინგლისის წლის საუკეთესო ფეხბურთელი გულშემატკივართა ვერსიით ზედიზედ მეორედ გახდა „ლივერპულის“ 29 წლის ეგვიპტელი ლიდერი მოჰამედ სალაჰი, რომელმაც მიმავალი სეზონის პრემიერლიგის 40 მატჩში 24 გოლი გაიტანა (ხმათა 61 პროცენტი).

მან შემდეგ კონკურენტებს გაუსწრო: რაისი, ფერნანდეში, ფოდენი, მენდი, მაუნტი, დიაში, დე ბრუინი, ჟორჟინიო.

◎ გვეხმაურებიან

ჟურნალისტური ფანტასტიკა

თინათინ-ელჯბიეტა ფერნანდესის საბაკალავრო ნაშრომი მომავლიდან მოწოდებული პაატა ნაცვლიშვილის მიერ

არ მეგონა, პაატა ნაცვლიშვილი კიდევ რამით თუ გამაოცებდა!

თუ რამ ინოვაცია შეიძლებოდა ყოფილიყო ჟურნალისტიკაში ჩემი დროისა და სივრცის ნახევარსაუკუნოვან მონაკვეთში, დიდი უმეტესობა პაატა ნაცვლიშვილს უკავშირდებოდა და მისგან ყოველთვის ყველაფერს მოველოდი, კოსმოსში მოგზაურობის (და, თავისთავად, კოსმიური რეპორტაჟების) ჩათვლით!

მაგრამ ჟურნალისტური ფანტასტიკის არაჩვეულებრივ ქეისს თუ შექმნიდა, რას წარმოვიდგენდი! ვიცი, რომ „ქეისი“ ბარბარიზმია, მაგრამ საგანმანათლებლო სივრცე ისეა გაჯერებული ამ ტერმინით და ლექტორებიც სულ ქეისებზე ნადირობაში ვათენ-ვაღამებთ... მაგრამ ამგვარი ქეისი ჩემთვის და ჩემი დაწინაურებული კოლეგებისთვის, უპირველესად, თავად პაატასთვის რომ ყოფილიყო ცნობილი, დაუყოვნებლივ გავრცელდებოდა აკადემიურ სივრცეში მაინც ინფორმაციის ზეხელმისაწვდომობის რეჟიმში.

„ქეისისგან“ განსხვავებით, „ჟურნალისტური ფანტასტიკა“ არც ბარბარიზმია და არც საიდანმე თარგმნილი, რადგან ასეთი რამ ჩვენთვის ფართოდ ხელმისაწვდომ ინფორმაციის ოკეანეში ჯერ არ შემოტივტივებულა, სანამ ეს ავანტიურისტი (ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით!) პაატა ნაცვლიშვილი არ დაწერდა და გამოაქვეყნებდა ვრცელ პუბლიკაციას „ვეფხისტყაოსნის ახალაიასეული ხელნაწერის 100 წლისთავისათვის“.

სამეცნიერო ფანტასტიკა კი ვიცით რაც არის და პაატა ნაცვლიშვილის ეს ესე თავისუფლად შეიძლებოდა ამ ჟანრისთვის მიგვეკუთვნებინა, მაგრამ ეს სწორედ ჟურნალისტური სტანდარტებით შექმნილი პუბლიკაციაა და თუ 100 წლის მერე ჩვენი პროფესია არც იარსებებს, სავსებით შესაძლებელია მავანმა თინათინ-ელჟბიეტამ საუკუნის შემდეგ ინტერესის საგნად აირჩიოს სწორედაც ვეფხისტყაოსანი, რომელმაც ცხრა საუკუნეს თუ გაუძლო, კიდევ ერთი ასწლეულის შემდეგ შესაძლოა უფრო მეტი სიბრძნე გამოასხივოს უფრო დაწინაურებული კაცობრიობისთვის.

ხსენებული თინათინ-ელჟბიეტა ფერნანდესის, გია დვალის სახელობის ტოკიოს საერთაშორისო ქართული უნივერსიტეტის სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც ასი წლის შემდეგ უნდა შეიქმნას (სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის კანონით), პაატა ნაცვლიშვილისთვის საინფორმაციო საბაბია; ამ საბაკალავრო ნაშრომის და, შესაბამისად, პაატას პუბლიკაციის ინტერესის საგანია XXI საუკუნის გურამ ახალაიასეული ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი და მისი პირველი გამოცემა, რომლის პრეზენტაცია 24 ნოემბერს გაიმართა და, სამწუხაროდ, მსხვილმანი თუ წვრილმანი პოლიტიკური ვნებებით გაჯერებულ ჩვენს ყოველდღიურობაში და მედიაში ისეთი რეზონანსი არ გამოუწვევია, როგორიც მას მოჰყვა, პაატა ნაცვლიშვილის ჟურნალისტური ფანტასტიკის თანახმად, ასი წლის შემდეგ.

მომავლის ისტორია

№218. ორშაბათი-სამშაბათი, 27-28 დეკემბერი, 2021 წელი

(ინფორმ. ბიბლიოთეკა) 6000 სამკალიანი ნაშრომის შესავალსა ნაშრომის შესავალსა ბოლოს ფინალურ ნაწილში ბევრ ეუფლებიდან ბევრ ეუფლებიდან ბევრ ეუფლებიდან

თელავის ჭადარმა სიკვდილზე გაიმარჯვა



თელავის ისტორიული ჭადრის ხის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად სპეციალური სამუშაოები ჩატარდა. ხე გაათავისუფლეს არასწორად მზარდი ტოტებისა და ხმელი ნაწილებისგან. თელავის მერის მოადგილემ, ნიკა მეტრეველმა რადიო თავისუფლებას უთხრა, რომ ადგილობრივი სპეციალისტების დასახმარებლად საგანგებოდ ჩამოვიდნენ ბიოლოგები თელავთან დაძმობილებული გერმანული ქალაქიდან, ბიბერახიდან.

ჭადარს თელავის სავიზიტო ბარათს უწოდებენ. მისი გარშემოწერილობა 12, სიმაღლე კი 40 მეტრია. გადმოცემის მიხედვით, თელავის ჭადრის ხეს დაახლოებით 900-წლიანი ისტორია აქვს და ის ისტორიულ უბანში, ერეკლე მეორის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, დგას. თელავის ისტორიული მუზეუმის დირექტორი გურამ ურჩუხიშვილი ამბობს, რომ თელავში ჩასული ადგილობრივი თუ უცხოელი ვიზიტორების უმრავლესობა ქალაქს ჭადრის უნახავად, ფაქტობრივად, არ ტოვებს.

ჭადრის სიცოცხლის გახანგრძლივებაზე კახეთში 2015 წლიდან მუშაობენ ადგილობრივი სპეციალისტები. გერმანელი ბიოლოგებიც არაერთხელ იყვნენ ჩამოსული, თუმცა, თითქმის ორი წელია, პანდემიის გამო ისინი ვიზიტს ვეღარ ახერხებდნენ.

„მოხდა ჭადრის ხის სხვლა-ფორმირება და ჩატარდა ფიტოსანიტარული სამუშაოები. ამან საშუალება მოგვცა, რომ შეგვემცირებინა ხის გახლეჩვა და სხვა დაავადებების გავრცელების რისკი. სპეციალისტების ბოლო დასკვნის თანახმად, შემიძლია ვთქვა, რომ ჭადრის ხეს საფრთხე აღარ ემუქრება“, — თქვა თელავის მერის მოადგილემ.

სატყეო მეურნეობისა და ურბანული გამწვანების ექსპერტი დავით სამხარაძე ამბობს, რომ ბოლოს ჩატარებული სამუშაოები ხეს გახდის უფრო ქარგამტარს, რაც, სტიქიური უბედურების დროს, მისი დაზიანების ალბათობას შეამცირებს.

სამხარაძე რადიო თავისუფლებასთან იმასაც ამბობს, რომ სპეციალური ხსნარებით კიდევ იგეგმება ხის დამუშავება და ადგილზე ბარიერის მოწყობა, რაც ხეს დაიცავს ადამიანების უშუალო შეხებისგან.

ჭადრის გადასარჩენად დაგეგმილ და განხორციელებულ სამუშაოებს მერია ადგილობრივი ბიუჯეტიდან აფინანსებს. ახლახან ჩატარებული სამუშაოებისთვის დაახლოებით 15 ათას ლარამდე დაიხარჯა. მერიაში ამბობენ, რომ ამ მიზნით თანხები მომავალი წლის ბიუჯეტშიც არის გათვალისწინებული.

გიორგი ალადაშვილი

„მე აფხაზეთისთვის“

„გარდენ ჰოლში“ აფხაზეთის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოსა და ჟურნალ „სითის“ ერთობლივი პროექტის, „მე აფხაზეთისთვის“ მონაწილეთა დაჯილდოება გაიმართა. კონკურსის ნომინანტებს სპეციალური პრიზები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძემ და პროექტის ავტორებმა გადასცეს.

პროექტი „მე აფხაზეთისთვის“ უკვე მეორე წელია იმართება და მიზნად ისახავს საზოგადოებას გააცნოს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე, წარმატებული ადამიანები აფხაზეთიდან. კონკურსის შედეგად შეირჩა საუკეთესო და საინტერესო ისტორიის მქონე ათი გმირი, რომლებზეც მომზადდება სპეციალური ფოტოპროექტი, დაიწერება მცირე ისტორიები და შემდეგ გამოქვეყნდება ჟურნალ „სითი“-ში. მასალა ასევე განთავსდება გამომცემლობის ონლაინ პლატფორმასა და საგენტოს ვებგვერდზე.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

103 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“ გადასარჩენია!

1918 წლის 25 ივლისს დაბადებული პირველი დამოუკიდებელი მაშინდელი მთავრობის მოამბე „საქართველოს რესპუბლიკა“ რის ვაი-ვაგლახით დღესაც გამოდის!

რასაც აქ წაიკითხავ, ვერც ერთ სოციალურ ქსელში ვერ ნახავ, ვერც ერთი ქართული ტელეეკრანიდან ვერ მოისმენ!

გაზეთი მაინც შეუცვლელია, ოდნავ წიგნიერი კაცისთვის გაზეთის კითხვა სულის ბუნებრივი მოთხოვნილებაა!

კოვიდ 19-ის პანდემიამ, როგორც ყველაფერს, ჟურნალ-გაზეთების გავრცელებასაც დიდად ავნო, მკითხველმა იკლო, რეკლამამ იკლო, თითქმის არც ერთი პერიოდული გამოცემა არ იყიდება, უფრო ზუსტად, ძალიან ცოტა იყიდება! ბუნებრივია, ეს მომაკვდინებლად მოქმედებს ბეჭდვურ მედიაზე! ერთადერთი გზა, რაც გადაარჩენს ქართულ პრესას, ის არის, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ, ჭკუადამჯდარმა ხალხმა გამოძებნოს უმცირესი ფინანსური საშუალება და პირი იბრუნოს პრესისკენ, ყოველდღიურად იყიდოს ან გარკვეული დროით გამოიწეროს ესა თუ ის გამოცემა, იმათ შორის, რა თქმა უნდა, ყველაზე ძველი, სანდო და პრინციპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, 103 წლის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

გულწრფელად და დიდი სინანულით უნდა გითხრათ:

„საქართველოს რესპუბლიკა“ რომ რიგითი მკითხველის, ქართული ბიზნესის და დღევანდელი მთავრობის უყურადღებობის გამო დაიხუროს, ერის საერთო სირცხვილია!

ეს იმაზე უარესია, რაც იმთავითვე შეურაცხადმა, გიჟმა და მავნებელმა მიხეილ სააკაშვილმა უქნა ქართულ პრესას, როცა 2007 წლის 10 აგვისტოს ქართველ ჟურნალისტთა მთელი არმია, 30-ზე მეტი რედაქცია თავისივე სახსრებით აშენებული პრესის სახლიდან — გამომცემლობა „სამშობლოდან“ დაუნდობლად გამოყარა!

სწორედ იქიდან დაიწყო ქართული ბეჭდვური მედიის დაღმასვლა და განადგურება! ნუ ვჭამთ კიდევ ერთ საყოველთაო ეროვნულ სირცხვილს, ქართველებო!

გადაარჩინეთ ქართული პრესა!
იყიდეთ, გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“

ხელმოწერისთვის მიმართეთ: „ელვა.ჯი“, www.elva.ge;
ტელ: 23822673; 2 382674; 577991651; 595 382626; „პლანეტა ფორტეს“ — 2 92 18 59; 599 947 311; 579 79 99 08;

მოგვმართეთ რედაქციაში, ვაჟა ფშაველას 48
ტელ: 599 797 679; 599 36 00 35;
ელ: ფოსტა: sakresp@mail.ru. sakresp@top.ge

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 29 დეკემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0774; ევრო - 3.4888;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1262;
100 რუბლი - 4.1962; თურქული ლირა - 0.2614;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8111;
1000 სომხური დრამი - 6.4229.

ამინდი 27 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+6
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+10
თბილისი:	ღამე	-1,	დღე	+11

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge